# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 18 აგვისტო 1995 № 50 (188) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართველები და გერმანელები სამზადისს დანაკლისით იწყებენ

31 აგვისტოს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები საგერმანიო შეკრებას თბილისში დაიწყებს, 2 აგვისტოს ფრანკფურტში ჩაფრენით და იქიდან ავტობუსით ნიურნბერგს გამგზავრებით ამ ქალაქში გააგრძელებს მზადებას, 6 სექტემბერს, მოგეხსენებათ, გერმანელებთან თამაშია, 7-ში კი უკან გამობრუნდება.

საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელს ალექსანდრე ჩივაძეს ერთი დიდი სადარდებელი უკვე აქვს — როგორი საქმეა, ამისთანა მატჩის წინ დაცვის ბურჯი, კახი ცხადაძე რომ დაშავდება და მარტო საამმატჩოდ კი არა, კარგა ხნით გამოაკლდება ნაკრებს. ექიმები ჯერ იმასაც ამბობენ, ცხადაძე 5-6 თვე ბურთსაც კი ვერ გაეკარებაო. დალხენით არც გერმანელები არიან — ამათაც ყველაზე შემტევი გერმანელი — იურგენ კლინსმანი დაუშავდათ. მას კოჭი დაუზიანებია, ექიმებს სამკურნალოდ ფირფიტები შემოუკრავთ ნატკენ ადგილზე და უთქვამთ, უახლოეს ხანს ვერ ითამაშებსო. ამ უახლოეს ხანში 23 აგვისტოს საკონტროლო თამაშიც იგულისხმება ბელგიაში, აქაურთა ნაკრებთან და 6 სექტემბრის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრაც გერმანია — საქართველო.

აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უეფადან მიიღო ფაქსი, რომელიც შემდეგს იუწყება: ამ ორგანიზაციას გერმანიის, ალბანეთის და მოლდოვის ფედერაციებისთვის დაუვალებია, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წლევანდელი 15 ნოემბრის თამაშები ალბანეთი— უელსი, გერმანია — ბულგარეთი და მოლდოვა — საქართველო დანიშნონ და დაიწყონ ერთსა და იმავე დროს, რადგან VII ჯგუფში დაძაბული სატურნირო მდგომარეობაა და ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ არ დაირღვეს სპორტული პრინციპი.



6 სექტემბერს ცხადაძისა და კლინსმანის ნაცვლად გუნდებს ვიცე-კაპიტნები გაუძღვებიან

## 7 ქინქლაძე

### საიმონსის კოშმარი დასრულდა

ეს სულ ახალი ამბავია: გუშინწინ „მანჩესტერ სიტიმ" „პორტსმუტისგან" 2 მილიონ გირვანქად იყიდა უელსის ნაკრების მცველი კიტ საიმონსი. ამ მოთამაშის შემატება ბევრ სხვა კლუბსაც სურდა, მაგრამ ბოლოს მაინც „სიტიმ" ირგუნა. „დეილ სტარის" ცნობით, საიმონსს ახალ კლუბში მისვლისთანავე ქინქლაძე მოუკითხავს, ახლოს გასცნობია, მერე კი ამ გაზეთის კორესპონდენტისთვის ეს განუცხადებია: „ამ ბიჭმა მე შავი დღე მაყარა, უელს-საქართველოს ორივე თამაშში სულ იმის ცდაში ვიყავი, რაიმე მელონა ამის წინააღმდეგ, მაგრამ ვერაფერს გავხდი. მოხარული ვარ, რომ ახლა ერთ გუნდში ვიქნებით. ბრწყინვალე, უმაღლესი კლასის მოთამაშეა, ჩემი კოშმარი დასრულდა, მის წინააღმდეგ აღარ მომიწევს თამაში."

გუშინ გიოს ლონდონიდან მანჩესტერში ტელეფონით რომ დავუკავშირდი, ამაზეც ჩამოვუგდე სიტყვა. ძალიან ხუმარა ვინმე ყოფილა საიმონსიო — მითხრა — რომ დამინახა, დემონსტრაციულად თავში ხელი შემოირტყა, აქაც შენა ხარ, ინგლისშიც აღარ მასვენებო. მერე მოვიდა, ხელი ჩამომართვა, მომიკითხა, ძალიან მიხარია, აწი ერთად რომ ვიქნებითო. „სიტიში" ჩემს ყოფნას რაც შეეხება, ეს არის: ყოველდღე 6 საათს გვავარჯიშებენ, მიუჩვეველი კი ვარ, მაგრამ ვუძლებ, გუნდშიც კმაყოფილები არიან. ნომრები ხვალ კი დამტკიცდება, მაგრამ მე დღესვე მითხრეს, შენი ნომერი 7 იქნებაო. „ტოტენჰემთან" სათამაშოდ ვემზადები, რა თქმა უნდა, ძირითადში ვარ, აბა, ამდენი ფული იმისთვის ხომ არ გადაიხადეს, სკამზე რომ დამსვან.

ზურაბ მეძველია,
ლონდონიდან

## ერთია, ისიც სხვისია

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი
მერაბ რატიშვილი ატლანტიდან

ატლანტაში დასრულებულ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველები უმედლოდ როდი დარჩენილან, მაგრამ ეს ერთად-ერთი მედალი აქედან ჩრდილოეთით, მეზობელ კანადაში წაიღეს...

აბა, ხეირიანი როგორ ეთქმის მსოფლიო ჩემპიონატზე ისეთ გამოსვლას, საქართველოს მოჭიდავეთა წილად მოსული ადგილებიდან ყველაზე საუკეთესო IV რომაა. ეს მეოთხეც, ასე ვთქვათ, უკვე ასაკოვანი მძიმეწონოსნის ზაზა თურმანიძისაა, რომელიც მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ძველ ნაცნობთან და ყოფილ თანაგუნდელთან ლერი ხაბელოვთან დამარცხდა. თუმცა, ამ წონაში ისეთი ამბები დატრიალდა, ასაკზე ლაპარაკი უადგილოც კია — ჩემპიონი მართლაც უბერებელი და ლეგენდარული, 35 წლის ამერიკელი ბრიუს ბაუმგარტნერი გახდა! თუ ამ კაცმა გაისად ოლიმპიადაც მოიგო, ამერიკის ერთი ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენთაგანიც გახდება. სხვა ჩვენიანთაგან ტურნირი უფრო უკეთ ელდარ კურტანიძემ (90 კგ) და დავით ხურციამ (82) დაიწყეს — ზედიზედ სამ-სამი შეხვედრა მოიგეს, მაგრამ მერე ორ-ორჯერ დამარცხდნენ და...

ის ერთი, კანადაში წაღებული „ქართული" მედალი კი ვერცხლისაა და გია სისაურის (57) მოპოვებულია. გია ახლა იქ ცხოვრობს და ვარჯიშობს და, ბუნებრივია, კანადის სახელითაც გამოდის. სრული უფლება აქვს, ფინალის მერე გულდაწყვეტილიც იყოს და მისი და ამერიკელ ტერი ბრანდსის გადამწყვეტი შერკინების მსაჯებზე ერთი-ორი „ტკბილი სიტყვაც" თქვას — ამათ ნამუსზე ისე აიღეს ხელი, დაწყებიდან 30 წამში სამი გაფრთხილება მისცეს, მასპინძელთა მოჭიდავეს გამარჯვება დაუბევეს, ამერიკის ნაკრებს კი მეოთხე ოქროს მედალი შემატეს. შტატების გუნდის ამდენ ოქროს სხვებმა თითოოროლა თუ დაუპირისპირეს: რუსეთმა — 2, სომხეთმა, უკრაინამ, ირანმა და ბულგარეთმა — 1-1.

ჭიდაობის თემას ძიუდოთი გავაგრძელებ: ატლანტაში შეკრებაზე მყოფი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ამერიკელებმა თავიანთ ღია პირველობაზე მიიპატიჟეს. ეს შეჯიბრი აქვე, ჯორჯიისავე შტატში, ქალაქ მეიკონში იმართება დღეს და ხვალ. ჩვენგან ექვსივე ძიუდოისტი იჭიდავებს: 65 კილოგრამ წონაში — გიორგი რევაზიშვილი, 78-ში — სოსო ლიპარტელიანი, 86-ში — ივერი ჯიქურაული, 95-ში — მევლუდ ლობჟანიძე, მძიმეში — დავით ხახალეიშვილი და ალექსი დავითაშვილი. გულღია მასპინძლებმა კიდევ ერთი ქართველი, პერსონალურად დაუშვეს — ეს გახლავთ 60 კგ წონაში მოჭიდავე ახალგაზრდა ძიუდოისტი გიორგი შხვაცაბაია, რომელიც ამჟამად სან-დიეგოში სწავლობს.



ფოთელ კიკლიაშვილის პენალტი დინამოელთა კარში

## საქართველოს ჩემპიონატის III ტური

პირველი იყო მეტოქე წყვილთა სისრულით — ითამაშა ყველამ — „დინამომაც", „სამტრედიამაც" და ბათუმმაც, რომელთაც ევროთასებზე მონაწილეობამ ეროვნული ჩემპიონატის მატჩები გამოატოვებინა. დამდეგი კვირის საპასუხო ევროთამაშების კვირაძალს შინაური პირველობის შეხვედრებმა ამ სამეულისთვის გენერალური რეპეტიციის მნიშვნელობა შეიძინა.

კოლხეთი 1:1 დინამო

სამტრედია 3:1 ეგრისი

ბათუმი 3:0 სიონი

მარგვეთი 4:0 შევარდენი

დილა 4:1 ივერია

ზუგდიდი 4:0 დურუჯი

ტორპედო 5:0 გურია

მეტალურგი 3:0 კახეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 3 | 3 | 0 | 0 | 8-0 | 9 |
| მეტალურგი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-3 | 9 |
| კოლხეთი 1913 | 3 | 2 | 1 | 0 | 7-1 | 7 |
| ბათუმი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| დილა | 3 | 2 | 0 | 1 | 8-6 | 6 |
| მარგვეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| ზუგდიდი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-3 | 6 |
| შევარდენი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| გურია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-9 | 3 |
| სამტრედია | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| დინამო | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| კახეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-7 | 0 |
| სიონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |
| ივერია | 3 | 0 | 0 | 3 | 2-7 | 0 |
| ეგრისი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| დურუჯი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-8 | 0 |

# ძალიან აზარტული რეპეტიცია

**კოლხეთი 1:1 დინამო**

კოლხეთი: გვასალია, ნ. მიქაბერიძე, კაკაჩია, გიგატაძე (ბულუხია 78), გოროზია, ლალანიძე, კიკლიაშვილი, ტორჩინავა, ამბიძე, გაბისონია, თიბილაშვილი

დინამო: ზოიძე, კალაძე, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, ცქიტიშვილი, ცაავა (გამცემლიძე 61), კაჭარავა (დემეტრაძე 78), კობიაშვილი

0:1 დიდავა (3), 1:1 კიკლიაშვილი (85 პ)

გაფრთხილება: გოგიჩაიშვილი (24), თიბილაშვილი (48), დიდავა (67)

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

ფოთელმა ფეხბურთელებმა ამ თამაშამდე ქულათა მაქსიმუმი დააგროვეს და ორი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეშიც იყვნენ, „დინამო" კი, ცნობილ მიზეზთა გამო თავის პირველ მატჩს ატარებდა. „კოლხეთი" საკმაოდ გამოცდილი და შეთამაშებული გუნდია, მართალია, გიორგი დარასელიას წასვლის შემდეგ ნახევარდაცვის ხაზი შეუსუსტდა, მაგრამ კიკლიაშვილი, მიქაბერიძე და გაბისონია საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალაა, თანაც ამათ ზურგს ბაზვა ამბიძე უმაგრებს. რაც შეეხება „დინამოს", ყველამ იცის, რომ ეს ახალგაზრდული კოლექტივი ჯერაც თავისი თამაშის ძიებაშია.

მატჩი ორმხრივი შეტევებით დაიწყო, მაგრამ მერე და მერე „დინამომ" იძალა. სხვათა შორის, დავით ყიფიანმა სიურპრიზი მოუმზადა მეტოქეთ — წინ მხოლოდ ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი — კაჭარავა ათამაშა, მის უკან ცაავა, ხოლო საყრდენი ნახევარმცველობა კიკნაძეს და დიდავას დააკისრა. დიდავას ახალ ამპლუაში გამოყვანა მასპინძლებისთვის მოულოდნელობა გამოდგა. ცალკე აღნიშვნის ღირსია კახა გოგიჩაიშვილის თამაში — მოედნის რომელი მონაკვეთი უნდა ყოფილიყო, იქ არ გენახათ და ყოველთვის დროულად, ყველგან ასწრებდა — დაცვაშიც, ნახევარდაცვაშიც და კაჭარავასაც ხშირად ეხმარებოდა. ისეთი თავგანწირვით იბრძოდა, მისი მონდომება მარტო თანაგუნდელებს კი არა, მეტოქესაც გადაედო. მესამე წუთზე ცაავამ ისეთი პასი შეასრულა, მაყურებლმა ოვაციისგან თავი ვერ შეიკავა, დიდავა კი ამ პასით მეკარესთან პირისპირ გავიდა. მისი პირველი დარტყმა გვასალიამ მოიგერია, მაგრამ განმეორებითს ვეღარა მოუხერხა და ანგარიშიც გაიხსნა. ფოთელებმა ცენტრიდან თამაში განაახლეს თუ არა, იმისთანა ბურთაობა გაჩაღდა, თქვენი მოწონებული — ასეთი ჟინიანი ორთაბრძოლა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში პირადად მე არ მინახავს. „დინამომ" ბურთის კოლექტიური ართმევით და ძალისმიერი თამაშით შებოჭა მეტოქე. მასპინძლები გონს მალე მოეგნენ და ესენიც ამგვარადვე ათამაშდნენ. არა მგონია, ვაჭარბებდე — ბურთის წასართმევად „პადკატად" ცნობილი ამდენი ფეხებში ჩავარდნა წინა ჩემპიონატში ერთად აღებული არ ყოფილა. მასპინძელთაგან თავგანწირული თამაშით განსაკუთრებით გოროზია და გაბისონია გამოირჩეოდნენ, კიკლიაშვილმა თავისი საფირმო საჯარიმო დარტყმებით დაგვამახსოვრა თავი, გაბისონია კი „დინამოს" დაცვას მოსვენების საშუალებას არ აძლევდა.

ერთი სიტყვით, თამაში თანდათან გამწვავდა, სახიფათო მომენტები მონაცვლეობით, ხან ერთ, ხან მეორე კართან იქმნებოდა. მარჯვენა ფრთიდან მიქაბერიძის გარღვევას საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა, გაბისონიამ „მაკრატელა" დაარტყა, მაგრამ ზოიძე ადგილზე დახვდა ბურთს. ორიოდე წუთიც და კიკლიაშვილის დარტყმულ ბურთს ძელი იგერიებს. ამ პერიოდისთვის და შემდგომაც მოვლენები სწრაფად იცვლება. მარცხენა ფრთაზე კაჭარავა ატყუებს გოროზიას, უახლოვდება საჯარიმოს და იქ მყოფ გოგიჩაიშვილს აწვდის, ამისი დარტყმა ზუსტი კია, მაგრამ საგოლე ძალა აკლია და გვასალია იგერიებს. მჭიდრო, ხისტი თამაში, ისეთი, უხეშობის ზღვარზეაო, რომ იტყვიან, არ წყდება. სახიფათო თამაშისთვის მსაჯმა ჯერ გოგიჩაიშვილი, მერე კი თიბილაშვილი გააფრთხილა. მინდორზე გარბენ-გამორბენამ ექიმებს ფეხბურთელებზე ნაკლებად როდი მოუწიათ.

ორივე გუნდის მოთამაშეებს ნერვიულობა დაეტყოთ.

მატჩის მეორე „სერიაც", პირველის დარად, ერთობ მძაფრსიუჟეტიანი გახლდათ. ის კი არა, ორთაბრძოლა უფრო გამწვავდა, ფეხბურთელებს შორის კი კინკლაობამ და შეხლა-შემოხლამ იმატა. ტორჩინავა-მიქაბერიძის კომბინაციის შემდეგ მიქაბერიძე, მართალია, მახვილი კუთხით, მაგრამ მაინც მეკარესთან პირისპირ გადის. ზოიძე ჩინებულად თამაშობს. კიდევ ერთი დუელი — ამჯერად გაბისონიასა და ზოიძეს შორის და უფრო მარჯვე ისევ თბილისელთა გოლკიპერია. ამის მერე „დინამოს" შეტევების ჯერიც დადგა. ჯერ კიკნაძე-კობიაშვილის კომბინაცია ყუმბარისებური დარტყმით დაასრულა კობიაშვილმა, მაგრამ ბურთმა ძელს ჩაუქროლა, შემდეგ კაჭარავამ თაური პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა ცაავა, რომელსაც საბოლოო დარტყმა გაუცუდდა. ერთი წუთის შემდეგ ლობჟანიძე ატყუებს ორ მცველს და საჯარიმოში აწვდის, კაჭარავას თაური სცდება „კოლხეთის" კარს. ცაავას კიდევ ერთი ხელსაყრელი მომენტი უცუდდება, თანაც აშკარაა, რომ დაიღალა და აკი ყიფიანმა გამცემლიძით შეცვალა, ხოლო ცოტა ხანში დემეტრაძე შეუშვა კაჭარავას ნაცვლად. სოსო ფილიამ მცველი, გიგატაძე გაიხმო, ბულუხია შემოიყვანა და თავდასხმის ხაზი გააძლიერა. გოგიჩაიშვილის კიდევ ერთ დარტყმას გვასალია იგერიებს. რაც უფრო ცოტა დრო რჩებოდა დამთავრებამდე, მით უფრო საგრძნობი ხდებოდა მასპინძელთა უპირატესობა. საჯარიმო მოედნის სიახლოვეს დიდავამ ამბიძე მოცელა, რისთვისაც ყვითელი ბარათი დაიმსახურა. ჯარიმა, რა თქმა უნდა, კიკლიაშვილმა შეასრულა, მაგრმა ბურთი კარს მცირედით აცილა. თამაშის მიწურულს ექიმთა დახმარება ჯერ გოგიჩაიშვილს და ლობჟანიძეს დასჭირდათ, ხოლო შემდეგ და თანაც ორჯერ — ჩინებულად მოთამაშე გაბისონიას. ფოთელთა მორიგი შეტევა და მაჭავარიანმა ბურთი კუთხურზე მოიგერია. კუთხური მიქაბერიძემ ჩააწოდა, ზოიძე ჩაწოდებულს ვერ შესწვდა, ბურთი თავზე ხვდება ლალანიძეს და მისდის გაბისონიას, რომელიც შეუჩერებლად, თავით გზავნის მას კარისკენ და კობიაშვილს ბურთი ხელით გამოაქვს. მისმა მოგვარემ, მსაჯმა მალხაზმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა, მაგრამ მასპინძლები ყაბულს არ იყვნენ — რაღადღა, ბურთი უკვე გასული იყოო, ამტკიცებდნენ. დიდი დავა-კამათის შემდეგაც მსაჯი თავის ნათქვამზე დადგა, გადაწყვეტილება არ შეცვალა და ხელი პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა. ეს გაჯანჯლებული და ყბადაღებული პენალტი კიკლიაშვილმა უნაკლოდ შეასრულა და დამთავრებამდე 5 წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა.

„კოლხეთმა" დაამტკიცა, რომ იგი შემთხვევით არაა გათამაშების ლიდერი, „დინამოს" თამაშში კი ისეთი მომენტები შეინიშნებოდა, რაც აქამდე გუნდს აკლდა — კერძოდ, პრესინგი მთელს მოედანზე, ბურთის კოლექტიური ართმევა, ტექნიკურთან ერთად ძალისმიერი თამაში. მოკლედ, „დინამოს" „ბოტევთან" მატჩის წინ ჩინებული რეპეტიცია გამოუვიდა დასპარინგ-პარტნიორიც ღირსეული შეხვდა — გამოცდილი, შეკრული კოლექტივი, რომელიც, უეჭველია, საპრიზო ადგილის ერთ-ერთი კანდიდატი იქნება.

მატჩის შემდეგ გავესაუბრე „კოლხეთის" მთავარ მწვრთნელ სოსო ფილიას და თამაშში ერთ-ერთ საუკეთესოს გელა გაბისონიას.

სოსო ფილია: თამაშის წინ დაგეგმილი, გარკვეულ სუბიექტურ მიზეზთა გამო, ვერ განვახორციელეთ. ეს ჯერ კიდევ არ გახლავთ „კოლხეთის" საუკეთესო თამაში, გუნდს გაცილებით მეტი შეუძლია. აუცილებლად საპრიზო ადგილებისთვის ვიბრძოლებთ და ვეცდებით, ევროთასებზე ვიასპარეზოთ. რაც შეეხება თბილისის „დინამოს", ეს ახალგაზრდული გუნდია, თუმცალა გასაოცარია მათი ბრძოლისუნარიანობა. დავით ყიფიანს ნამდვილად არ გაუჭირდება ამ ბიჭებისგან ძლიერი გუნდის შექმნა.

გელა გაბისონია: საინტერესო თამაში გამოდგა. დასაწყისში დასანანი გოლი გავუშვით. მართალია, მინდორზე ხშირი იყო შეხლა-შემოხლა და კინკლაობა, მაგრამ ასეთი თამაშებისთვის ეს დამახასიათებელიცაა. ის, რაც მოედანზე ხდება, იქვე რჩება და გარეთ კვლავ მეგობრები ვართ, სხვაგვარად წარმოუდგენელია.

მამუკა კვანტალიანი

ფოთი — თბილისი



თამაშის ნიშანდობლივი ეპიზოდი: სამი თბილისელი ერთი ფოთელის წინააღმდეგ



კინკლაობაც ხშირი იყო



# დევაძე კონტრაქტზე დაყამულდებულა

ორიოდე კვირაც და საქართველოს ეროვნული ნაკრები ალექსანდრე ჩივაძის ხელმძღვანელობით საგერმანიოდ დილმის ბაზაზე საწვრთნელ შეკრებას დაიწყებს. ნაკრების მეკარე აკაკი დევაძე ის კაცია, თბილისში გერმანელებისა რომ არ შეშინებია და არაერთი ძნელი ბურთიც მოიგერია. ბოლო ტურებს მისი კლუბი „როსტსელმაში" ქართველი მეკარის გარეშე ატარებდა — მიზეზი დევაძის საკმაოდ მძიმე ტრავმა იყო. თბილისში ორიოდე დღით ჩამოსულ მეკარეს ჯერ ამ ტრავმაზე ვკითხე...

— ვარჯიშზე მენჯის ძვალი გამებზარა და თითქმის თვენახევარი ვმკურნალობდი. 3 კვირა ვიწექი კიდეც. ფორმაში ახლახანლა ჩავდექი.

**— ბოლო ორ ტურში თქვენმა კლუბმა უჩვეულოდ იუოჩალა...**

— ახალმა მწვრთნელმა სერგეი ანდრეევმა ძირფესვიანად შეცვალა საწვრთნელი პროცესი. ფიზიკურადაც მეტად გვტვირთავს და წინამორბედისგან, ენვერ იულგაშოვისგან განსხვავებით უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ბურთით ვარჯიშს. დავიმატეთ სამი მოთამაშე — გუჯაბიძე, ნეჩაი, ლემეშკო, რომლებმაც აშკარად გააძლიერეს გუნდი და ზედიზედ თხუთმეტი წარუმატებელი შეხვედრის შემდეგ აკი ორი მატჩიც მოვიგეთ.

**— გუჯაბიძეზე უფრო დაწვრილებით გვითხარი...**

— გუნდს უცებ შეეწყო, ანდრეევი სამი მცველით გვათამაშებს და გოჩას „უკანა ხაზის დირექტორს" ეძახიან. ის კი არა, შეტევებშიც ხშირად ერთვება და ბოლო მატჩში სამჯერ მეკარესთან პირისპირაც კი გავიდა. მალე ალბათ გოლების გატანასაც დაიწყებს.

**— კურიოზული ამბავია — თქვენი, აუტსაიდერი გუნდის თავდამსხმელი, 26 წლის მასლოვი რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია...**

— იგი ამასწინათ რომანცევმაც გამოიძახა ნაკრების შეკრებაზე. მართლაც ძალიან სახიფათო თავდამსხმელია. მისი კოზირი თავით ბრწყინვალე თამაშია. თითქმის ყველა გოლი თავით გააქვს.

**— ლიგაში თქვენი დარჩენის შანსს როგორ აფასებ?**

— ამ ორმა მოგებამ ძალები და რწმენა შეგვმატა. დარჩენის შანსი როგორ არ არის. ბევრ რამეს გადაწყვეტს 19 აგვისტოს მატჩი სამარაში „კრილია სოვეტოვთან".

**— შენი დუბლიორი კვლავაც 17 წლის როსტოველი ვალეევია?**

— არა, ანდრეევმა ცეუხკადან 18 წლის ვლადიმიროვი ჩამოიყვანა. ძალზე ნიჭიერი და პერსპექტიული მეკარეა. რაც შემიძლია, ვეხმარები.

**— შენ ხომ როსტოვიდან წასვლას აპირებ და ნუთუ 18 წლის ბიჭის იმედად რჩებიან?**

— ვაპირებდი, მაგრამ ახლა უკვე ველარ შევძლებ — „როსტსელმაშთან" ორწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი. რასაც შემპირდნენ, შემისრულეს და მეც დავთანხმდი კონტრაქტზე. თუ დავრჩით ლიგაში, დავრჩები როსტოვში, თუ არა, სხვაგან გადავალ.

**— თბილისში შენი ჩამოსვლა რას მივაწეროთ?**

— ანდრეევმა ყველანი ოთხი დღით გაგვანთავისუფლა, ვიცი, ბურთი ყელში გაქვთ ამოსული და ცოტა განიტვირთეთო. ეს ოთხი დღე როსტოვში რა გამაჩერებდა...

**— რუსეთის ლიგაში მოთამაშე ქართველებზე რა იცი?**

— როსტოვში ისე გავიგე, ვლადიკავკაზის „სპარტაკს" კიდევ ერთი ქართველი, გოჩა ჯამარაული შეემატება, მას უკვე ელიან ვლადიკავკაზში.

**— გერმანელებთან მატჩი ახლოვდება...**

— ახლოვდება და საფიქრალიც მომემატა. თუ მოვიგეთ, ალბათ ინგლისშიც ვითამაშებთ. არადა, თუ ყველა დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდებით ამ თამაშს, 29 მარტს დაშვებულ შეცდომებსაც გავითვალისწინებთ, ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

მამუკა კვარაცხელია

მე-3 ტური, 15 აგვისტო

**ტორპედო 5:0 გურია**

ტორპედო: ხელაძე (მამარდაშვილი 70), შეყრილაძე, ჩხაბერიძე (ვაჩიბერაძე 58), თურმანიძე, ვოსკანოვი, წიქარიშვილი, ჩხეტიანი, ხუნდაძე, ნოზაძე, აშვეთია (შენგელია 70), კვეტენაძე

გურია: ჭურაძე, ლურწკაია, ოქროპირიძე, კუკულაძე, ჯიბუტი, ლორია, ყოლბაია, განიევი (ებრალიძე 60), გოგიბერიშვილი, ჭუმბურიძე, ახვლედიანი (მურმანიშვილი 37)

1:0 კვეტენაძე (27), 2:0, 3:0 აშვეთია (36, 40), 4:0 ხუნდაძე (58), 5:0 ვაჩიბერაძე (78)

გაფრთხილება: ლორია (72)

მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

**მეტალურგი 3:0 კახეთი**

მეტალურგი: დოლიძე, ფოფხაძე, ბურნაძე (კვინტრაძე 46), არჩვაძე, თევზაძე, რეხვიაშვილი, ყაველაშვილი, ჩალაძე, ზირაქიშვილი (ბუცურეიშვილი 75), მეტრეველი, ალადაშვილი

კახეთი: ჩიქვინიძე, ნონიკაშვილი, ათუაშვილი, სანადირაძე, ნაკუდაიძე, ქააძე, გაგნაშვილი, ჯაშიაშვილი, სოლოლაშვილი, ბაბულაიძე, ღვინიაშვილი

1:0 ზირაქიშვილი (48), 2:0 მეტრეველი (60), 3:0 ჩალაძე (90)

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

**მარგვეთი 4:0 შევარდენი**

მარგვეთი: გვენცაძე, მაღლაკელიძე, გურიელიძე, გაბრიჭიძე, ღონღაძე, უკლება (ფოცხვერიშვილი 70), კაკუბავა (გეწაძე 68), სულაკაძე, წიკლაური, კიკნაძე, ენდელაძე

შევარდენი: ბერაძე, ალადაშვილი, მჭედლიშვილი, თამაზაშვილი, ყორყიკაშვილი, გ. ჯელაძე (ხეტეშვილი 29), კანკავა, მინდიაშვილი (ამისულაშვილი 62), გოდერძიშვილი, მაზანაშვილი, გოგოლაძე

1:0 კაკუბავა (38), 2:0 სულაკაძე (52), 3:0, 4:0, ენდელაძე (65,75)

გაფრთხილება: გაბრიჭიძე (59)

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**დილა 4:1 ივერია**

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ლომიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, წკრიალაშვილი (ხ. გაგნიძე 75), მარეხაშვილი, ციცქიშვილი (ტაბატაძე 83), მარლიშვილი, ხორგუაშვილი, რევაზიშვილი

ივერია: გვარამაძე, ნეკერაშვილი, გეჭკორი, ჩიბაშვილი (პაპიძე 72), ლაცაბიძე, ხარაზიშვილი (ლომიძე 46), იობაშვილი, ჩადუნელი, კაციაშვილი, ტყემალაძე, ბუსოიკიძე

1:0 მარეხაშვილი (22), 2:0 ხორგუაშვილი (25), 3:0 გაგნიძე (49), 4:0 ხორგუაშვილი (80), 4:1 კაციაშვილი (82)

მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

**ზუგდიდი 4:0 დურუჯი**

ზუგდიდი: მიქავა (მიქაია 70), ახვლედიანი, ძალამიძე (ჯაბუა 70), თუთბერიძე, მიქაძე, ჭაჭუა, კვარაცხელია, კუტალია (აფაქიძე 49), გაბედავა, ქაძანაია, ლ. ბერიშვილი

დურუჯი: პაქსაშვილი, მოსიაშვილი, ოსაძე, ბოჭორიშვილი, ჩიხრაძე (წიწრიაშვილი 46), ყანჩაშვილი, ქარენაშვილი, ოსეფაშვილი, კუპრაშვილი, ყიზილაშვილი (ჯიქურიშვილი 46), დარჩიაშვილი

1:0, 2:0 ბერიშვილი (26,29), 3:0 კვარაცხელია (68), 4:0 ახვლედიანი (84)

გაფრთხილება: ჩიხრაძე (25), მიქაძე (65)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

**ბათუმი 3:0 სიონი**

ბათუმი: ტოგონიძე, მალანია, ღლონტი, ჩიქოვანი, შეყილაძე, თორღაშვილი, მახარაძე, მაჭუტაძე, ტუღუში, უჯმაჯურიძე, მინდაძე (მუჯირი 72)

სიონი: დალაქიშვილი, ვაშაკიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, რუხაძე, გაბრიჭიძე (სამხარაძე 46), გოგოლაძე, ტოროშელიძე, მოსეშვილი, ჯაფარიძე, ანდღულაძე (ფაიქიძე 64)

1:0 თორღაშვილი (26), 2:0 ტუღუში (67), 3:0 უჯმაჯურიძე (78)

მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

**სამტრედია 3:1 ეგრისი**

სამტრედია: ჭანტურია, იონანიძე, გუჩუა, ბერაძე, ჯიშკარიანი, ცომაია, ტყავაძე (გოგიაშვილი 40), გ. დარასელია, დ. ჯანაშია, ზ. ჯანაშია, ბ. დარასელია

ეგრისი: ბულია, ხევსურიანი, დანელია (კალანდაძე 81), ბენდელიანი, წულაია, წოდია, შალამბერიძე, რუსია, ბუკია, თვარაძე (თორია 70), ჩხიკვაძე

1:0 იონანიძე (26), 2:0 გოგიაშვილი (60), 3:0 გ. დარასელია (80)

გაფრთხილება: ხევსურიანი (24)

მსაჯი: გ. კალანდია (ზუგდიდი)

# არდადეგები დასრულდა. ვითამაშოთ!

განხილდა ევროპის ჩემპიონატის თამაშები. სამშაბათს და ოთხშაბათს საქმეში ჩაერთო რვიდან შვიდი შესარჩევი ჯგუფი, ისვენებდა ერთი — მეშვიდე, რომელშიც საქართველოს ნაკრები გამოდის და რომლის ჯერიც 6 სექტემბერს დადგება. ახლა, როდესაც შეჯიბრების წინასწარი ეტაპის დამთავრებამდე, ანუ იმ თხუთმეტი გუნდის გარკვევამდე, რომლებიც გაისად, დასკვნით ეტაპზე „უკონკურსოდ" გასულ მასპინძლებს, ინგლისელებს დაემატებიან, სამი თვეღა რჩება, თითოეულ ჯგუფში შედეგთა მნიშვნელობა და მატჩების დრამატიზმი ერთიორად იმატებს. ამიტომაც, გარდა გუშინწინ ჩატარებული თამაშების ანგარიშებისა და მოკლე მიმოხილვისა, დღემდე გამართული ყველა შეხვედრის შედეგსაც შეგახსენებთ და დარჩენილ კალენდარსაც.

## I ჯგუფი

04.09.94 ისრაელი — პოლონეთი 2:1; 07.09.94 სლოვაკეთი — საფრანგეთი 0:0, რუმინეთი — აზერბაიჯანი 3:0; 08.10.94 საფრანგეთი — რუმინეთი 0:0; 12.10.94 ისრაელი — სლოვაკეთი 2:2, პოლონეთი — აზერბაიჯანი 1:0; 12. 11 94 რუმინეთი — სლოვაკეთი 3:2; 16.11.94 პოლონეთი — საფრანგეთი 0:0, აზერბაიჯანი — ისრაელი 0:2; 13.12.94 აზერბაიჯანი — საფრანგეთი 0:2; 14.12.94 ისრაელი — რუმინეთი 1:1; 29.03.95 რუმინეთი — პოლონეთი 2:1, ისრაელი — საფრანგეთი 0:0, სლოვაკეთი — აზერბაიჯანი 4:1, 25.04.95 პოლონეთი ისრაელი 4:3; 26.04.95 საფრანგეთი — სლოვაკეთი 4:0, აზერბაიჯანი — რუმინეთი 1:4, 07.06.95 პოლონეთი სლოვაკეთი 5:0, რუმინეთი — ისრაელი 2:1

16 აგვისტო. ოთხშაბათი.

### საფრანგეთი 1:1 პოლონეთი

ახალგაზრდული ნაკრებები — 4:1

ალბათ, დიდი ხანია, გულშემატკივარს მეკარის ასეთი თამაში არ უნახავს. ის, რაც „პარკ დე პრენსზე", ნამეტნავად მეორე ტაიმში პოლონეთის მეკარემ ვოზნიაკმა გამოავლინა, ოსტატობაც არ იყო, არამედ რალაც მეტი... ალბათ თავად ვოზნიაკი ცხოვრების ბოლომდე გაიხსენებს ამ პარიზულ სალამოს, რადგან შეუძლებელია, მუდამ ასე თამაშობდეს, თუნდაც რიგით კარგ შეხვედრებში.

თამაში იმით დაიწყო, რომ ლაპინსკიმ ძლიერად დაურტყა მასპინძლებს, მაგრამ [illegible]მა უდრტვინველად დახვდა ბურთს. დაახლოებით ერთ წუთში ბორდოელი დუგერის დარტყმა ასევე თავდაჯერებულად



ზიდანემ ბევრი მოინდომა, მაგრამ...

მიიღო ვოზნიაკმა. თამაში სწრაფად, აზარტულად მიმდინარეობდა. ცოტა ხანში ფრანგთა მარჯვენა მცველმა ჟოზელინ ანგლომამ მეტოქის საჯარიმოში დიდი ბრძოლის შემდეგ დავიდ ჟინოლას მიაწოდა. მაგრამ სამფეროვანთა ვარსკვლავმა, რომელმაც ეს შეხვედრა საკმაოდ უფერულად ჩაატარა, კარს ააცილა. ბარემ წინასწარ გეტყვით, რომ ჟინოლა მწვრთნელმა ემე ჟაკემ მეორე ტაიმში გამოცვალა კიდეც და მის ნაცვლად მოედანზე პედროსი შეიყვანა. რაკილა სიტყვა შეცვლებზე ჩამოვარდა, ისიც ალვნიშნოთ, რომ ამ დღეს, პირველად ევროპის პირველობების ისტორიაში გუნდებს სამი მოთამაშის შეცვლის ნება ჰქონდათ, რაც ფრანგებმა გამოიყენეს კიდეც. ზემოხსენებული პედროსის გარდა მათ შეცვლაზე კარამბუ და ჟორკაეფი შეიყვანეს. ისევ თამაშს დავუბრუნდეთ. პირველი ნახევრის შუისთვის ინიციატივა მასპინძლებმა მოიპოვეს. ლიზარაზუმ მარცხნიდან ჩაჰკიდა, დუგერმა თავით დაარტყა, მაგრამ უზუსტოდ. შემდეგ ზიდანეს შორიდან დარტყმა აუცდა. ცოტა ხანში კი... იმავე ზიდანემ ცენტრში ბურთი დაკარგა, ნოვაკმა ერთი შეხებით იგი საჯარიმოსკენ გაქროლილ იუსკოვიაკს გაუჭრა, რომელსაც ვერც ჩაწოლილმა ლებოკმა და ვერც ლამამ შეუშალეს ხელი გოლს გატანაში — 1:0. ამასობაში ტრიბუნებზე ფრანგ და პოლონელ ქომაგებს შორის მცირე შეხლა-შემოხლა და ლუდის ქილების სროლაც ატყდა, მაგრამ პოლიციის ფარიანმა და ხელკეტიანმა რაზმმა სირთულეს უცბად გაართვა თავი. აშკარა იყო, მასპინძლებს ბოლო დარტყმის შემსრულებელი, ვინმე ბომბარდირი აკლდათ. ისე აეწყო, რომ ცნობილ მიზეზთა გამო მათ მოედანზე ვერც ერიკ კანტონა გაიყვანეს და ვერც ფრანგული ლიგის გასული წლის საუკეთესო ბომბარდირი პატრის ლოკო, რომელსაც ამასწინათ რაღაც პირად პრობლემათა გამო ნერვებმა უმტყუნეს და ახლა ფსიქიატრიულ კლინიკაში მკურნალობს.

მეორე ტაიმში ფრანგები აშკარად გახელდნენ და სწორედ აქ დაიწყო სტუმართა მეკარის ვირტუოზული შოუ. ერთი შეტევისას საჯარიმოდან ჯერ დუგერმა დაარტყა, რომელიც მეკარემ მოიგერია. მოგერიებულს გერენმა დაამატა, ვოზნიაკმა კვლავ დიდებულად ითამაშა, მესამე, ზიდნეს დარტყმა კი კარს გადასცდა. რამდენიმე წუთში გერენი კვლავ მეტოქის საჯარიმოშია, ფინტით ივანს აცურებს და არტყამს, მაგრამ მეკარე აქაც შეუდარებელია. ამასობაში ანგლომას წაქცევისთვის ლაპინსკი მეორე ყვითელ ბარათს იღებს და მოედანს ტოვებს. პოლონელები ათნი რჩებიან. კვლავ ჯარიმაა მათ კართან. ჯარიმას ზიდანე არტყამს, ვოზნიაკი კი ბურთს იგერიებს. ცოტა ხანში ზიდანე თავით ცდის ბედს — უზუსტოდ. ზიდანე კვლავ საჯარიმოში შედის, სვერჩევსკი მას ქაჩავს და — პენალტი. ლიზარაზუს დარტყმულ პენალტს, ცხადია, ვოზნიაკი იგერიებს, ყველას გერენი ასწრებს და ვოზნიაკს ახლა საპირისპირო მხარეს უწევს გადახტომა და მოგერიება.

და აი, დადგა 86-ე წუთი, როდესაც თვით პოლონელთა გოლკიპერის კარში ბურთი გადის. ჯარიმას ჟორკაეფი არტყამდა. სტუმრებმა ხუთკაციანი ცოცხალი კედელი აღმართეს, მაგრამ ჟორკაეფმა ბურთი კედელს შემოავლო და იმ კუთხეში, ასეთ შემთხვევაში მეკარისას რომ უწოდებენ, ზუსტად ძელთან ჩასვა...

### აზერბაიჯანი 0:1 სლოვაკეთი

გოლი: იანკულა (60)

ახალგაზრდული ნაკრებები — 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 15:5 | 17 |
| საფრანგეთი | 7 | 2 | 5 | 0 | 7:1 | 11 |
| პოლონეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 12:8 | 11 |
| ისრაელი | 7 | 2 | 3 | 2 | 11:10 | 9 |
| სლოვაკეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 9:15 | 8 |
| აზერბაიჯანი | 7 | 0 | 0 | 7 | 2:17 | 0 |

დარჩენილი თამაშები: 06.09.95 საფრანგეთი — აზერბაიჯანი, სლოვაკეთი — ისრაელი, პოლონეთი — რუმინეთი; 11.10.95 რუმინეთი — საფრანგეთი, ისრაელი — აზერბაიჯანი, სლოვაკეთი — პოლონეთი; 15.11.95 სლოვაკეთი— რუმინეთი, აზერბაიჯანი — პოლონეთი, საფრანგეთი — ისრაელი.

## II ჯგუფი

07.09.94 კვიპროსი — ესპანეთი 1:2, მაკედონია — დანია 1:1, ბელგია — სომხეთი 2:0; 08.10.94 სომხეთი — კვიპროსი 0:0; 12.10.94 დანია — ბელგია 3:1, მაკედონია — ესპანეთი 0:2; 16.11.94 ბელგია — მაკედონია 1:1, ესპანეთი — დანია 3:0, კვიპროსი — სომხეთი 2:0; 17.12.94 ბელგია — ესპანეთი 1:4, მაკედონია — კვიპროსი 3:0; 29.03.95 ესპანეთი — ბელგია 1:1, კვიპროსი — დანია 1:1; 26.04.95 სომხეთი — ესპანეთი 0:2, ბელგია — კვიპროსი 2:0, დანია — მაკედონია 1:0; 10.05.95 სომხეთი — მაკედონია 2:2; 07.06.95 დანია — კვიპროსი 4:0, მაკედონია — ბელგია 0:5, ესპანეთი — სომხეთი 1:0

16 აგვისტო, ოთხშაბათი

### სომხეთი 0:2 დანია

გოლები: მ. ლაუდრუპი (33), ნილსენი (46)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 7 | 6 | 1 | 0 | 15:3 | 19 |
| დანია | 7 | 4 | 2 | 1 | 12:6 | 14 |
| ბელგია | 7 | 3 | 2 | 2 | 13:9 | 11 |
| მაკედონია | 7 | 1 | 3 | 3 | 7:12 | 6 |
| კვიპროსი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:12 | 5 |
| სომხეთი | 7 | 0 | 2 | 5 | 2:11 | 2 |

დარჩენილი თამაშები: 06.09.95 ბელგია — დანია, ესპანეთი — კვიპროსი, მაკედონია — სომხეთი; 07.10.95 სომხეთი — ბელგია; 11.10.95 დანია — ესპანეთი, კვიპროსი — მაკედონია; 15.11.95 ესპანეთი — მაკედონია, კვიპროსი — ბელგია, დანია — სომხეთი

## III ჯგუფი

07.09.94 ისლანდია — შვედეთი 0:1, უნგრეთი — თურქეთი 2:2; 12.10.94 თურქეთი — ისლანდია 5:0, შვეიცარია — შვედეთი 4:2; 16.11.94 შვეიცარია — ისლანდია 1:0, შვედეთი — უნგრეთი 2:0; 14.12.94 თურქეთი — შვეიცარია 1:2; 29.03.95 თურქეთი — შვედეთი 2:1, უნგრეთი — შვეიცარია 2:2; 26.04.95 უნგრეთი — შვედეთი 1:0, შვეიცარია — თურქეთი 1:2; 01.06.95 შვედეთი — ისლანდია 1:1; 11.06.95 ისლანდია — უნგრეთი 2:1

16 აგვისტო, ოთხშაბათი

### ისლანდია 0:2 შვეიცარია

ახალგაზრდული ნაკრებები — 2:4

ისლანდია: ბ. კრისტიანსენი, კ. იონსონი (დერვიცი 88), ბერგსონი, ადოლფსონი, რ. კრისტიანსონი, ბ. გუნლაუგსონი, ტორდარსონი, ს. იონსონი, ოურლიგსონი, სვერისონი (ინგოლდსონი 66), ა. გუნაუგსონი

შვეიცარია: პასკოლო, პოტიგერი, პენხოცი, გაიგერი, კენტონი, ორელი, სფორცა, ფოურნიე, სუტერი (ბიკელი 78), კნუპი, ტურკილმაზი (ბონვინსი 85)

გოლები: კნუპი (4), ტურკელმაზი (18)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 6 | 4 | 1 | 1 | 12:7 | 13 |
| თურქეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:6 | 10 |
| შვედეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:8 | 7 |
| უნგრეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| ისლანდია | 5 | 1 | 1 | 3 | 3:9 | 4 |

დარჩენილი თამაშები: 06.09.95 შვედეთი — შვეიცარია, თურქეთი — უნგრეთი; 11.10.95 შვეიცარია — უნგრეთი, ისლანდია — თურქეთი, უნგრეთი — ისლანდია; 15.11.95 შვედეთი — თურქეთი

## IV ჯგუფი

04.09.94 ესტონეთი — ხორვატია 0:2; 07.09.94 სლოვენია — იტალია 1:1, უკრაინა — ლიტვა 0:2; 08.10.94 ესტონეთი — იტალია 0:2; 09.10.94 ხორვატია — ლიტვა 2:0; 12.10.94 უკარინა — სლოვენია 0:0; 13.11.94 უკრაინა — ესტონეთი 3:0; 16.11.94 სლოვენია — ლიტვა 1:2, იტალია — ხორვატია 1:2; 25.03.95 იტალია — ესტონეთი 4:1, ხორვატია — უკრაინა 4:0; 29.03.95 სლოვენია — ესტონეთი 3:0, უკრაინა — იტალია 0:2, ლიტვა — ხორვატია 0:0; 26.04.95 ლიტვა — იტალია 0:1, ხორვატია — სლოვენია 2:0, ესტონეთი — უკრაინა 0:1; 07.06.95 ლიტვა — სლოვენია 2:1; 11.06.95 ესტონეთი — სლოვენია 1:3, უკრაინა — ხორვატია 1:0

16 აგვისტო, ოთხშაბათი

### ესტონეთი 0:1 ლიტვა

გოლი: მაცულევიჩუსი (48)

ახალგაზრდული ნაკრებები — 0:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 7 | 5 | 1 | 1 | 12:2 | 16 |
| იტალია | 6 | 4 | 1 | 1 | 11:4 | 13 |
| ლიტვა | 7 | 4 | 1 | 2 | 7:5 | 13 |
| უკრაინა | 7 | 3 | 1 | 3 | 5:8 | 10 |
| სლოვენია | 7 | 2 | 2 | 3 | 9:8 | 8 |
| ესტონეთი | 8 | 0 | 0 | 8 | 2:19 | 0 |

დარჩენილი თამაშები: 03.09.95 ხორვატია — ესტონეთი; 06.09.95 იტალია — სლოვენია, ლიტვა — უკრაინა; 08.10.95 ხორვატია — იტალია, ლიტვა — ესტონეთი; 11.11.95 იტალია — უკრაინა; 15.11.95 სლოვენია — ხორვატია, იტალია — ლიტვა.

## V ჯგუფი

06.09.95 ჩეხეთი — მალტა 6:1; 07.09.94 ლუქსემბურგი — პოლანდია 0:4, ნორვეგია — ბელარუსი 1:0; 12.10.94 მალტა — ჩეხეთი 0:0, ბელარუსი — ლუქსემბურგი 2:0, ნორვეგია — პოლანდია 1:1; 16.11.94 ბელარუსი — ნორვეგია 0:4, პოლანდია — ჩეხეთი 0:0; 14.12.94 მალტა — ნორვეგია 0:1, პოლანდია — ლუქსემბურგი 0:1; 29.03.95 ჩეხეთი — ბელარუსი 4:2, ლუქსემბურგი — ნორვეგია 0:2, პოლანდია — მალტა 4:0; 26.04.95 ბელარუსი — მალტა 1:1, ჩეხეთი — პოლანდია 3:1, ნორვეგია — ლუქსემბურგი 5:0; 07.06.95 ბელარუსი — პოლანდია 1:0, ლუქსემბურგი — ჩეხეთი 1:0, ნორვეგია — მალტა 2:0.

16 აგვისტო, ოთხშაბათი

### ნორვეგია 1:1 ჩეხეთი

ახალგაზრდული ნაკრებები — 3:4

ოსლოში საკმაოდ თბილოდა, მოედანი შესანიშნავად იყო მოვლილი. მეტოქეებმა სწრაფი თამაში გააჩაღეს და ბოლომდე ასე გაძლეს. უპირატესობას ხან ერთი, ხან მეორე იგდებდა ხელთ. დაცვისას ორივე ზონას მიმართავდა. თავიდან თითქოს სტუმრები აქტიურობდნენ მეტად და პაპალის თაურის გარდა, ერთი-ორი მომენტიც შექმნეს, მაგრამ ნორვეგიელებმა თანდათან გამოასწორეს მდგომარეობა და 30-ე წუთზე დაწინაურდნენ კიდეც. გოლი ასე გავიდა: მარცხენა ფრთიდან აუტი ლოკენმა ჩააწოდა. მან საკმაოდ შორს გატყორცნა — პირდაპირ საჯარიმოში, სადაც ფლო ორ მცველზე მაღლა ახტა და კეფით ბურთი დაადგო მეკარის შორიახლოს, სადაც ბერგმა იმკვირცხლა, კალდეცს და ბერგერს დაუსხლტა და ანგარიში გახსნა — 1:0. მეორე ტაიმში გაქჩითვის ჟინით შეპყრობილი ჩეხები გააქტიურდნენ. ჯერ სუხოპარეკის პასით კუკა, რომლისთვისაც ეს თამაში ნაკრებში 37-ე იყო, შედიოდა მარჯვნიდან პირისპირ, მაგრამ მეკარე ტორსტვედმა კუთხურზე მოიგერია. ამ კუთხურიდან ჩაწოდებულს დრულაკმა ფეხი ოსტატურად დაუხვედრა, თუმცა ახლო ძელთან მდგომ მცველს ვერ აიცილა და ბურთი კვლავ კუთხურზე გავიდა. მესამე კუთხური უშედეგო იყო. ჩეხების შეტევები გრძელდებოდა — ფრიდეკის დარტყმა კარს ასცდა.

ამ მონაკვეთს მასპინძელთა შეტევების სერია მოჰყვა. ფიორტოფტმა ნაღდი საგოლე პასი მეკარესთან ისე ახლოს მიიღო, რომ მას ვერ აიცილა. სოლბაკენის დარტყმული შორეულ ძელს ოდნავ აცდა. ფლომ მარჯვნიდან ჩაკიდულს დაარტყა უზუსტოდ. შემდეგ ისევ ფლომ ხელსაყრელ პოზიციაში ხისტად მოსული ბურთი ვერ დაიმორჩილა. ახლა ისევ ჩეხების დრო·დადგა. ერთხელ ტორსტვედმა შორიდან, ძლიერად დარტყმული მეტად ეფექტური ნახტომით მოიგერია, მაგრამ 85-ე წუთზე უძლური შეიქნა. იაკობსენმა მარჯვენა ფრთიდან პენალტის ნიშნულთან ჩაჰკიდა. ბურთს ნორვეგიელ მცველებზე მარჯვედ კუკა და სუხოპარეკი აუხტნენ და ამ უკანასკნელმა აუღებელი დაარტყა...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 8 | 6 | 2 | 0 | 17:2 | 20 |
| ჩეხეთი | 7 | 3 | 3 | 1 | 13:5 | 12 |
| პოლანდია | 7 | 3 | 2 | 2 | 15:5 | 11 |
| ბელარუსი | 6 | 2 | 1 | 3 | 6:10 | 7 |
| ლუქსემბურგი | 7 | 2 | 0 | 5 | 2:18 | 6 |
| მალტა | 7 | 0 | 2 | 5 | 2:15 | 2 |

დარჩენილი თამაშები: 06.09.95 ჩეხეთი — ნორვეგია, ლუქსემბურგი — მალტა, პოლანდია — ბელარუსი; 07.10.95 ბელარუსი — ჩეხეთი; 11.10.95 მალტა — პოლანდია, ლუქსემბურგი — ბელარუსი; 12.11.95 მალტა — ბელარუსი; 15.11.95 ჩეხეთი — ლუქსემბურგი, პოლანდია — ნორვეგია.

## VI ჯგუფი

20.04.94 ჩრდ. ირლანდია — ლიხტენშტეინი 4:1, 07.09.94 ლიხტენშტეინი — ავსტრია 0:4, ჩრდ. ირლანდია — პორტუგალია 1:2, ლატვია — ირლანდია 0:3; 09.10.94 ლატვია — პორტუგალია 1:3; 12.10.94 ირლანდია — ლიხტენშტეინი 4:0, ავსტრია — ჩრდ. ირლანდია; 13.11.94 პორტუგალია — ავსტრია 1:0; 15.11.95 ლიხტენშტეინი — ლატვია 0:1; 16.11.94 ჩრდ. ირლანდია — ირლანდია 0:4; 18.12.94 პორტუგალია — ლიხტენშტეინი 8:0; 29.03.95 ირლანდია — ჩრდ. ირლანდია 1:1, ავსტრია — ლატვია 5:0; 26.04.95 ირლანდია — პორტუგალია 1:0, ლატვია — ჩრდ. ირლანდია 0:1, ავსტრია — ლიხტენშტეინი 7:0; 03.06.95 პორტუგალია — ლატვია 3:2, ლიხტენშტეინი — ირლანდია 0:0; 07.06.95 ჩრდ. ირლანდია — ლატვია 1:2; 11.06.95 ირლანდია — ავსტრია 1:3

15 აგვისტო, სამშაბათი

### ლიხტენშტ.0:7 პორტუგალია

ახალგაზრდული ნაკრებები — 0:7

ყველაფერი ხდება. შეიძლება გუნდმა დიდი ანგარიშით წააგოს. შეიძლება იმიტომ წააგოს, რომ მწვრთნელს გონება არ უჭრიდეს და ფეხბურთელებს არასწორი დავალება მისცეს, შეიძლება, რაიმე მიზეზით გუნდი ცუდად მოემზადოს, შეიძლება, ახალშეკრებილთა პირველი ნაბიჯი გამოდგეს ძლიერ მეტოქესთან უიღბლო, მაგრამ ლიხტენშტეინი არც ერთია, არც მეორე, არც მესამე, უბრალოდ, მათ ფეხბურთის თამაში არ იციან. ნება-ნება მოთამაშე პორტუგალიელებმა 29-ე წუთზე რომ დაიწყეს გოლების გატანა, მიაყოლეს და მიაყოლეს. ჯერ დომინგუშმა შეაგდო, ორ წუთში პაულინო სანტუშმა გაარა, მერე რუი კოშტამ გაასამა. მეორე ტაიმში მოედანზე პაოლო ალვესი შევიდა და ახლა იმან დაიწყო — სამი გოლი შეაგდო. ერთიც 71-ე წუთზე პენალტით რუი კოშტამ მიამატა და ასე დაგროვდა — 7:0. თამაშის ბოლოს სტუმრებს ყურადღებით ყოფნაც მობეზრდათ და იმიტომ იყო, მასპინძლებმა რამდენჯერმე რომ გაიფაფხურეს, ერთხელ ჯარიმიდან მსაჯს ჩანსტვენა არ აცალეს და გაიტანეს კიდეც, მაგრამ იმ „უნამუსო" არბიტრმა, წესი წესიაო და, არ ჩათვალა...

16 აგვისტო, ოთხშაბათი

### ლატვია 3:2 ავსტრია

გოლები: რიმკუსი (13, 60), ზეიბერლინში (87); პოლსტერი (69), რამუხი (79)

ახალგაზრდული ნაკრებები — 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 7 | 6 | 0 | 1 | 24:5 | 18 |
| ირლანდია | 7 | 4 | 2 | 1 | 14:4 | 14 |
| ავსტრია | 7 | 4 | 0 | 3 | 22:7 | 12 |
| ჩრ. ირლანდია | 7 | 3 | 1 | 3 | 10:11 | 10 |
| ლატვია | 8 | 3 | 0 | 5 | 9:18 | 9 |
| ლიხტენშტეინი | 8 | 0 | 1 | 7 | 1:35 | 1 |

დარჩენილი თამაშები: 03.09.95 პორტუგალია — ჩრდ. ირლანდია; 06.09.95 ავსტრია — ირლანდია, ლატვია — ლიხტენშტეინი; 11.10.95 ირლანდია — ლატვია, ავსტრია — პორტუგალია, ლიხტენშტეინი — ჩრდ. ირლანდია; 15.11.95 პორტუგალია — ირლანდია, ჩრდ. ირლანდია — ავსტრია

## VIII ჯგუფი

07.09.94 ფინეთი — შოტლანდია 0:2, ფარერები — საბერძნეთი 1:5, 12.10.94 შოტლანდია — ფარერები 5:1, საბერძნეთი — ფინეთი 4:0, რუსეთი — სან მარინო 4:0; 16.11.94 შოტლანდია — რუსეთი 1:1, საბერძნეთი — სან-მარინო 2:0, ფინეთი — ფარერები; 14.12.94 ფინეთი სან მარინო 4:1; 18.12.94 საბერძნეთი შოტლანდია 1:0; 29.03.94 რუსეთი — შოტლანდია 0:0. სან-მარინო — ფინეთი 0:2. 26.04.95 სან მარინო — შოტლანდია 0:2, საბერძნეთი — რუსეთი 0:3, ფარერები — ფინეთი 0:4, 06.05.95 ფინეთი — ფარერები 3:0, 25.05.95 ფარერები — სან მარინო 3:0; 07.06.95 ფარერები — შოტლანდია 0:2, სან მარინო — რუსეთი 0:7; 11.06.95 ფინეთი — საბერძნეთი 2:1

16 აგვისტო, ოთხშაბათი

### ფინეთი 0:6 რუსეთი

ახალგაზრდული ნაკრებები — 1:1

ფინელები იყვნენ მასპინძლები თუ რუსები, კაცი ვერ გაარკვევდა. სტუმრები უტევდნენ, მასპინძლები კი ხელბურთელებივით თავიანთ საჯარიმოსთან დამდგარიყვნენ და ასე იცავდნენ თავს. რუსეთის ფეხბურთელებმა თავიდან საშუალო და შორი მანძილებიდან მეტოქის კარისკენ, იცოცხლე, ბევრი ურტყეს, მაგრამ უზუსტოდ. შემდეგ კი ადგნენ და ის კომბინაცია ჩაატარეს, კიევის „დინამო" ამ ათი წლის წინ მშვენივრად რომ ასრულებდა. კოლივანოვი მარცხნიდან საჯარიმოში სწრაფად ბურთიანად კუთხურის ხაზამდე შეიჭრა, საიდანაც პენალტის ნიშნულისკენ დააგორა. ამასობაში რადჩენკომ, ვითომ მე მომაწვდისო და, ორი ფინელი ლამის კარის ხაზთან გაიყოლა, პენალტის ნიშნულთან შემოსულ კულკოვს კი სივრცე გაუთავისუფლდა და ლაღად გაიტანა გოლი. 40-ე წუთზე კარპინმა ციმბალარისგან მიღებულს მიუჩინა მეტოქის კარში ადგილი, სამ წუთში კი რადჩენკომ მეტოქის მცველისგან მიიღო მშვენიერი პასი — 3:0. მეორე ტაიმიც სამგოლიანი იყო. კვლავ კოლივანოვი — კულკოვი — 4:0. შემდეგ, რაღა სულ მე გაგატანინო, ერთხელ შენც ისარგებლეო და, კოლივანოვმა კულკოვის პასით გაიტანა — 5:0. 70-ე წუთზე კი მოსტოვოიმ ჯარიმიდან ლამაზად შეაგდო. ასე აჯობეს რუსებმა ფინელებს ტექნიკაშიც, ფიზიკურ მომზადებაშიც, ჟინშიც და ტაქტიკაშიც.

### შოტლანდია 1:0 საბერძნეთი

გოლი: მაკოისტი (70)

ახალგაზრდული ნაკრებები — 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 24:1 | 17 |
| შოტლანდია | 8 | 5 | 2 | 1 | 13:3 | 17 |
| ფინეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 17:14 | 15 |
| საბერძნეთი | 7 | 4 | 0 | 3 | 13:7 | 12 |
| ფარერები | 7 | 1 | 0 | 6 | 5:24 | 3 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 1:25 | 0 |

დარჩენილი თამაშები: 06.09.95 შოტლანდია — ფინეთი, ფარერები — რუსეთი, სან მარინო — საბერძნეთი; 11.10.95 რუსეთი — საბერძნეთი, სან მარინო — ფარერები; 15.11.95 რუსეთი — ფინეთი, საბერძნეთი — ფარერები.

ინგლისურ ჟურნალ „უორლდ სოკერში" გამოქვეყნდა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კალენდარი, და სტადიონების სია, სადაც თამაშები გაიმართება.

„ა" ჯგუფი. „უემბლი" და ბირმინგემის „ვილა პარკი"

„ბ" ჯგუფი. ლიდსის „ელანდ როუდი" და ნიუკასლის „სენტ ჯეიმს პარკი"

„გ" ჯგუფი. მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდი" და ლივერპულის „ანფილდი"

„დ" ჯგუფი. შეფილდის „ჰილსბორო" და ნოტინგემის „სიტი გრაუნდი"

ჯგუფური შეჯიბრება:

08.06.96 ა1 - ა2 უემბლი 3 სთ (გრინვიჩის დრო)
09.06.96 ბ1 — ბ2 ლიდსი 2.30
09.06.96 გ1 — გ2 მანჩესტერი 5.00
10.06.96 ა3 — ა4 ბირმინგემი 4.30
10.06.96 ბ3 — ბ4 ნიუკასლი 7.30
11.06.96 გ3 — გ4 ლივერპული 4.30
11.06.96 დ3 — დ4 ნოტინგემი 7.30
13.06.96 ა2 — ა3 ბირმინგემი 7.30
13.06.96 ბ2 — ბ3 ნიუკასლი 4.30
14.06.96 გ2 — გ3 ლივერპული 7.30
14.06.96 დ2 — დ3 ნოტინგემი 4.30
15.06.96 ა4 — ა1 უემბლი 3.00
15.06.96 ბ4 — ბ1 ლიდსი 6.00
16.06.96 გ4 — გ1 მანჩესტერი 3.00
16.06.96 დ4 — დ1 შეფილდი 6.00
18.06.96 ა4 — ა2 ბირმინგემი 7.30
18.06.96 ბ4 — ბ2 ნიუკასლი 4.30
18.06.96 ა3 — ა1 უემბლი 7.30
18.06.96 ბ3 — ბ1 ლიდსი 4.30
19.06.96 გ4 — გ2 ლივერპული 7.30
19.06.96 დ4 — დ2 ნოტინგემი 4.30
19.06.96 გ3 — გ1 მანჩესტერი 7.30
19.06.96 დ3 — დ1 შეფილდი 4.30

მეოთხედფინალები:

22.06.96 1. ბ1 — ა2 ლივერპული 6.30
2. ბ2 — ა1 უემბლი 3.00
23.06.96 3. გ1 — დ2 მანჩესტერი 3.00
4. გ2 — დ1 ბირმინგემი 6.30

ნახევარფინალები:

26.06.96 1-4 მანჩესტერი 4.00
2-3 უემბლი 7.30

ფინალი

უემბლი 7.00

# ხვალ ინგლისის პრემიერლიგა

19 აგვისტო, შაბათი

ასტონ ვილა — მანჩესტერ იუნაიტედი
ბლექბერნ როვ. — ქვინზ პარკ რეინჯერსი.
ჩელსი — ევერტონი
ლივერპული — შეფილდ უენსდეი
მანჩესტერ სიტი — ტოტენჰემ ჰოთსპური
ნიუკასლ იუნაიტედი — ქოვენთრი სიტი
საუთჰემპტონი — ნოტინგემ ფორესტი
ვესტ ჰემ იუნაიტედი— ლიდს იუნაიტედი
უიმბლდონი — ბოლტონ ვონდერერზი

20 აგვისტო, კვირა

არსენალი — მიდლსბრო

21 აგვისტო, ორშაბათი

ლიდსი — ლივერპული

22 აგვისტო, სამშაბათი

ბოლტონი — ნიუკასლი

23 აგვისტო, ოთხშაბათი

ქოვენთრი — მანჩესტერ სიტი
ევერტონი — არსენალი
მანჩესტერ იუნ. — ვესტ ჰემი
ნოტინგემი — ჩელსი
ქ.პ.რ. — უიმბლდონი
შეფილდ უენსდეი — ბლექბერნი
ტოტენჰემი — ასტონ ვილა

26 აგვისტო, შაბათი

ბოლტონი — ბლექბერნი
ქოვენთრი —არსენალი
ევერტონი — საუთჰემპტონი
ლიდსი — ასტონ ვილა
მანჩესტერ იუნ. — უიმბლდონი
მიდლსბრო— ჩელსი
ნოტინგემი — ვესტ ჰემი
ქ.პ.რ. — მანჩესტერ სიტი
ტოტნეჰემი — ლივერპული

27 აგვისტო, კვირა

შეფილდ უენდსეი — ნიუკასლი

28 აგვისტო, ორშაბათი

ბლექბერნი — მანჩესტერ იუნ.

30 აგვისტო, ოთხშაბათი

ჩელსი — ქოვენთრი
ლივერპული — ქ.პ.რ.
მანჩესტერ — ევერტონი
ნიუკასლი — მიდლსბრო
საუთჰემპტონი — ლიდსი
ვესტ ჰემი — ტოტენჰემი
უიმბლდონი — შეფილდ უენსდეი

9 სექტემბერი, შაბათი

ბლექბერნი — ასტონ ვილა
ბოლტონი — მიდლსბრო
ქოვენთრი — ნოტინგემი
ევერტონი — მანჩესტერ იუნ.
ქ.პ.რ. — შეფილდ უენსდეი
საუთჰემპტონი — ნიუკასლი
ტოტენჰემი — ლიდსი
უიმბლდონი — ლივერპული

10 სექტემბერი, კვირა

მანჩესტერ სიტი — არსენალი

11 სექტემბერი, ორშაბათი

ვესტ ჰემი — ჩელსი

12 სექტემბერი, სამშაბათი

მიდლსბრო — საუთჰემპტონი

16 სექტემბერი, შაბათი

არსენალი — ვესტ ჰემი
ასტონ ვილა — უიმბლდონი
ჩელსი — საუთჰემპტონი
ლიდსი — ქ.პ.რ.
ლივერპული — ბლექბერნი
მანჩესტერ იუნ. — ბოლტონი
მიდლსბრო — ქოვენთრი
ნიუკასლი — მანჩესტერ სიტი
შეფილდ უენსდეი — ტოტენჰემი

17 სექტემბერი, კვირა

ნოტინგემი — ევერტონი

23 სექტემბერი, შაბათი

არსენალი — საუთჰემპტონი
ასტონ ვილა — ნოტინგემი
ბლექბერნი — ქოვენთრი
ლივერპული — ბოლტონი
მანჩესტერ სიტი — მიდლსბრო
შეფილდ უენსდეი — მანჩესტერ იუნ.
ვესტ ჰემი — ევერტონი
უიმბლდონი — ლიდსი

24 სექტემბერი, კვირა

ნიუკასლი — ჩელსი

25 სექტემბერი, ორშაბათი

ქ.პ.რ. — ტოტენჰემი

30 სექტემბერი, შაბათი

ბოლტონი — ქ.პ.რ.
ჩელსი — არსენალი
ქოვენთრი — ასტონ ვილა
ლიდსი — შეფილდ უენსდეი
მიდლსბრო — ბლექბერნი
ნოტინგემი — მანჩესტერ სიტი
ტოტენჰემი — უიმბლდონი

1 ოქტომბერი, კვირა

ევერტონი — ნიუკასლი
მანჩესტერ იუნ. — ლივერპული

2 ოქტომბერი, ორშაბათი

საუთჰემპტონი — ვესტ ჰემი

14 ოქტომბერი, შაბათი

ასტონ ვილა — ჩელსი
ბლექბერნი — საუთჰემპტონი
ბოლტონი — ევერტონი
ლიდსი — არსენალი
ლივერპული — ქოვენთრი
მანჩესტერ იუნ. — მანჩესტერ სიტი
ქ.პ.რ. — ნიუკასლი
ტოტენჰემი — ნოტინგემი

15 ოქტომბერი, კვირა

შეფილდ უენსდეი — მიდლსბრო

16 ოქტომბერი, ორშაბათი

უიმბლდონი — ვესტ ჰემი

21 ოქტომბერი, შაბათი

არსენალი — ასტონ ვილა
ჩელსი — მანჩესტერ იუნ.
ქოვენთრი — შეფილდ უენსდეი
ევერტონი — ტოტენჰემი
მანჩესტერ სიტი — ლიდსი
მიდლსბრო — ქ.პ.რ.
ნიუკასლი — უიმბლდონი
ნოტინგემი —ბოლტონი
ვესტ ჰემი —ბლექბერნი

22 ოქტომბერი, კვირა

საუთჰემპტონი — ლივერპული

28 ოქტომბერი, შაბათი

ასტონ ვილა — ევერტონი
ბლექბერნი — ჩელსი
ლიდსი — ქოვენთრი
ლივერპული — მანჩესტერ სიტი
მანჩესტერ იუნ. — მიდლსბრო
ქ.პ.რ. — ნოტინგემი
შეფილდი — ვესტ ჰემი
უიმბლდონი — საუთჰემპტონი

29 ოქტომბერი, კვირა

ტოტენჰემი — ნიუკასლი

30 ოქტომბერი, ორშაბათი

ბოლტონი — არსენალი

4 ნოემბერი, შაბათი

არსენალი — მანჩესტერ იუნ.
ჩელსი — შეფილდ უენსდეი
ქოვენთრი — ტოტენჰემი
მანჩესტერ სიტი — ბოლტონი
მიდლსბრო — ლიდსი
ნიუკასლი — ლივერპული
ნოტინგემი — უიმბლდონი
საუთჰემპტონი — ქ.პ.რ.
ვესტ ჰემი — ასტონ ვილა

5 ნოემბერი, კვირა

ევერტონი — ბლექბერნი

8 ნოემბერი, ოთხშაბათი

ნიუკასლი — ბლექბერნი

18 ნოემბერი, შაბათი

ასტონ ვილა — ნიუკასლი
ბლექბერნი — ნოტინგემი
ბოლტონი— ვესტ ჰემი
ლიდსი — ჩელსი
ლივერპული — ევერტონი
მანჩესტერ იუნ. — საუთჰემპტონი
შეფილდ უენსდეი — მანჩესტერ სიტი
ტოტენჰემი — არსენალი
უიმბლდონი — მიდლსბრო

19 ნოემბერი, კვირა

ქ.პ.რ. — ქოვენთრი

20 ნოემბერი, ორშაბათი

საუთჰემპტონი — ასტონ ვილა

21 ნოემბერი, სამშაბათი

არსენალი — შეფილდ უენსდეი
მიდლსბრო — ტოტენჰემი

22 ნოემბერი, ოთხშაბათი

ჩელსი — ბოლტონი
ქოვენთრი — მანჩესტერ იუნ.
ევერტონი — ქ.პ.რ.
მანჩესტერ სიტი — უიმბლდონი
ნოტინგემი — ლიდსი
ვესტ ჰემი — ლივერპული

25 ნოემბერი, შაბათი

ჩელსი — ტოტენჰემი
ქოვენთრი — უიმბლდონი
ევერტონი — შეფილდ უენსდეი
მანჩესტერ სიტი — ასტონ ვილა
მიდლსბრო — ლივერპული
ნიუკასლი — ლიდსი
ნოტინგემი — მანჩესტერ იუნ.
საუთჰემპტონი — ბოლტონი
ვესტ ჰემი — ქ.პ.რ.

26 ნოემბერი, კვირა

არსენალი — ბლექბერნი

2 დეკემბერი, შაბათი

ასტონ ვილა — არსენალი
ბლექბერნი — ვესტ ჰემი
ბოლტონი — ნოტინგემი
მიდლსბრო — ტოტენჰემი

22 ნოემბერი, ოთხშაბათი

ჩელსი — ბოლტონი
ქოვენთრი — მანჩესტერ იუნ.
ევერტონი — ქ.პ.რ.
მანჩესტერ სიტი — უიმბლდონი
ნოტინგემი — ლიდსი
ვესტ ჰემი — ლივერპული

25 ნოემბერი, შაბათი

ჩელსი — ტოტენჰემი
ქოვენთრი — უიმბლდონი
ევერტონი — შეფილდ უენსდეი
მანჩესტერ სიტი — ასტონ ვილა
მიდლსბრო — ლივერპული
ნიუკასლი — ლიდსი
ნოტინგემი — მანჩესტერ იუნ.
საუთჰემპტონი — ბოლტონი
ვესტ ჰემი — ქ.პ.რ.

26 ნოემბერი, კვირა

არსენალი — ბლექბერნი

2 დეკემბერი, შაბათი

ასტონ ვილა — არსენალი
ბლექბერნი — ვესტ ჰემი
ბოლტონი — ნოტინგემი
ლიდსი — მანჩესტერ სიტი
ლივერპული — საუთჰემპტონი
მანჩესტერ იუნ. — ჩელსი
ქ.პ.რ. — მიდლსბრო
ტოტენჰემი — ევერტონი

3 დეკემბერი, კვირა

უიმბლდონი — ნიუკასლი

4 დეკემბერი, ორშაბათი

შეფილდ უენსდეი — ქოვენთრი

9 დეკემბერი, შაბათი

ბოლტონი — ლივერპული
ჩელსი — ნიუკასლი
ქოვენთრი — ბლექბერნი
ევერტონი — ვესტ ჰემი
ლიდსი — უიმბლდონი
მანჩესტერ იუნ. — შეფილდ უენსდეი
მიდლსბრო — მანჩესტერ სიტი
საუთჰემპტონი — არსენალი
ტოტენჰემი — ქ.პ.რ.

10 დეკემბერი, კვირა

ნოტინგემი — ასტონ ვილა

19 დეკემბერი, შაბათი

არსენალი — ჩელსი
ასტონ ვილა — ქოვენთრი
ბლექბერნი — მიდლსბრო
მანჩესტერ სიტი . — ნოტინგემი
ნიუკასლი — ევერტონი
ქ.პ.რ. — ბოლტონი
შეფილდ უენსდეი — ლიდსი

17 დეკემბერი, კვირა

ლივერპული — მანჩესტერ იუნ.

23 დეკემბერი, შაბათი

ქოვენთრი — ევერტონი
ლივერპული — არსენალი
მანჩესტერ სიტი — ჩელსი
მიდლსბრო — ვესტ ჰემი
მანჩესტერ იუნ. — ნოტინგემი
ქ.პ.რ. — ასტონ ვილა
შეფილდ უენსდეი — საუთჰემპტონი
ტოტენჰემი — ბოლტონი
უიმბლდონი — ბლექბერნი

26 დეკემბერი, სამშაბათი

არსენალი — ქ.პ.რ.
ასტონ ვილა — ლივერპული
ბლექბენრი — მანჩესტერ სიტი
ჩელსი — უიმბლდონი
ევერტონი — მიდლსბრო
მანჩესტერ იუნ. — ნიუკასლი
ნოტინგემი — შეფილდ უენსდეი
საუთჰემპტონი — ტოტენჰემი
ვესტ ჰემი — ქოვენთრი

27 დეკემბერი, ოთხშაბათი

ბოლტონი — ლიდსი

30 დეკემბერი, შაბათი

არსენალი — უიმბლდონი
ასტონ ვილა — შეფილდ უენსდეი
ბლექბერნი — ტოტენჰემი
ბოლტონი — ქოვენთრი
ჩელსი — ლივერპული
ევერტონი — ლიდსი
მანჩესტერ იუნ. — ქ.პ.რ.
ნოტინგემი — მიდლსბრო
საუთჰემპტონი — მანჩესტერ სიტი
ვესტ ჰემი — ნიუკასლი

1 იანვარი, ორშაბათი

ქოვენთრი — საუთჰემპტონი
ლიდსი — ბლექბერნი
ლივერპული — ნოტინგემი
მანჩესტერ სიტი — ვესტ ჰემი
მიდლსბრო — ასტონ ვილა
შეფილდ უენსდეი — ბოლტონი
ტოტენჰემი — მანჩესტერ იუნ.
უიმბლდონი — ევერტონი

2 იანვარი, სამშაბათი

ნიუკასლი — არსენალი
ქ.პ.რ. — ჩელსი

13 იანვარი, შაბათი

ბოლტონი — უიმბლდონი
ქოვენთრი — ნიუკასლი
ევერტონი — ჩელსი
ლიდსი — ვესტ ჰემი
მანჩესტერ იუნ. — ასტონ ვილა
მიდლსბრო — არსენალი
ნოტინგემი — საუთჰემპტონი
ქ.პ.რ. — ბლექბერნი
შეფილდ უენსდეი — ლივერპული
ტოტენჰემი — მანჩესტერ სიტი

20 იანვარი, შაბათი

არსენალი — ევერტონი
ასტონ ვილა — ტოტენჰემი
ბლექბერნი — შეფილდ უენსდეჟ
ჩელსი — ნოტინგემი
ლივერპული — ლიდსი
მანჩესტერ სიტი — ქოვენთრი
ნიუკასლი — ბოლტონი
საუთჰემპტონი — მიდსლბრო
ვესტ ჰემი — მნჩესტერ იუნ.
უიმბლდონი — ქ.პ.რ.

3 თებერვალი, შაბათი

არსენალი — ქოვენთრი
ასტონ ვილა — ლიდსი
ბლექბერნი — ბოლტონი
ჩელსი — მიდლსბრო
ლივერპული — ტოტენჰემი
მანჩესტერ სიტი — ქ.პ.რ.
ნიუკასლი — შეფილდ უენსდეი
საუთჰემპტონი — ევერტონი
ვესტ ჰემი — ნოტინგემი
უიმბლდონი — მანჩესტერ იუნ.

10 თებერვალი, შაბათი

ბოლტონი — ასტონ ვილა
ქოვენთრი — ჩელსი
ევერტონი — მანჩესტერ სიტი
ლიდსი — საუთჰემპტონი
მანჩესტერ იუნ. — ბლექბერნი
მიდლსბრო — ნიუკასლი
ნოტინგემი — არსენალი
ქ.პ.რ. — ლივერპული
შეფილდ უენსდეი — უიმბლდონი
ტოტენჰემი — ვესტ ჰემი

17 თებერვალი, შაბათი

არსენალი — მანჩესტერ სიტი
ასტონ ვილა — ბლექბერნი
ჩელსი — ვესტ ჰემი
ლიდსი — ტოტენჰემი
ლივერპული — უიმბლდონი
მანჩესტერ იუნ. — ევერტონი
მიდლსბრო — ბოლტონი
ნიუკასლი — საუთჰემპტონი
ნოტინგემი — ქოვენთრი
შეფილდ უენსდეი — ქ.პ.რ.

24 თებერვალი, შაბათი

ბლექბერნი — ლივერპული
ბოლტონი — მანჩესტერ იუნ.
ქოვენთრი — მიდლსბრო
ევერტონი — ნოტინგემი
მანჩესტერ სიტი — ნიუკასლი
ქ.პ.რ. — ლიდსი
საუთჰემპტონი — ჩელსი
ტოტენჰემი — შეფილდი
ვესტ ჰემი — არსენალი
უიმბლდონი — ასტონ ვილა

2 მარტი, შაბათი

ქოვენთრი — ვესტ ჰემი
ლიდსი — ბოლტონი
ლივერპული — ასტონ ვილა
მანჩესტერ სიტი — ბლექბერნი
მიდლსბრო — ევერტონი
ნიუკასლი — მანჩესტერ იუნ.
ქ.პ.რ. — არსენალი
შეფილდ უენსდეი — ნოტინგემი
ტოტენჰემი — საუთჰემპტონი
უიმბლდონი — ჩელსი

9 მარტი, შაბათი

არსენალი — ლივერპული
ასტონ ვილა — ქ.პ.რ.
ბლექბერნი — უიმბლდონი
ბოლტონი — ტოტენჰემი
ჩელსი — მანჩესტერ სიტი
ევერტონი — ქოვენთრი
მანჩესტერ იუნ. — ლიდსი
ნოტინგემი — ნიუკასლი
საუთჰემპტონი — შეფილდ უენსდეი
ვესტ ჰემი — მიდლსბრო

16 მარტი, შაბათი

ქოვენთრი — ბოლტონი
ლიდსი — ევერტონი
ლივერპული — ჩელსი
მანჩესტერ სიტი — საუთჰემპტონი
მიდლსბრო — ნოტინგემი
ნიუკასლი — ვესტ ჰემი
ქ.პ.რ. — მანჩესტერ იუნ.
შეფილდ უენსდეი — ასტონ ვილა

23 მარტი, შაბათი

არსენალი — ნიუკასლი
ასტონ ვილა — მიდლსბრო
ბლექბერნი — ლიდსი
ბოლტონი — შეფილდ უენსდეი
ჩელსი — ქ.პ.რ.
ევერტონი — უიმბლდონი
მანჩესტერ იუნ. — ტოტენჰემი
ნოტინგემი — ლივერპული
საუთჰემპტონი — ქოვენთრი
ვესტ ჰემი — მანჩესტერ სიტი

30 მარტი, შაბათი

ასტონ ვილა — ვესტ ჰემი
ბლექბერნი — ევერტონი
ბოლტონი — მანჩესტერ სიტი
ლიდსი . — მიდლსბრო
ლივერპული — ნიუკასლი
მანჩესტერ იუნ. — არსენალი
ქ.პ.რ. — საუთჰემპტონი
შეფილდ უენსდეი — ჩელსი
ტოტენჰემი — ქოვენთრი
უიმბლდონი — ნოტინგემი

6 აპრილი, შაბათი

არსენალი — ლიდსი
ჩელსი — ასტონ ვილა
ქოვენთრი — ლივერპული
ევერტონი — ბოლტონი
მანჩესტერ სიტი — მანჩესტერ იუნ.
მიდლსბრო — შეფილდ უენსდეი
ნიუკასლი — ქ.პ.რ.
ნოტინგემი — ტოტენჰემი
საუთჰემპტონი — ბლექბერნი
ვესტ ჰემი — უიმბლდონი

8 აპრილი, ორშაბათი

ასტონ ვილა — საუთჰემპტონი
ბლექბერნი — ნიუკასლი
ბოლტონი — ჩელსი
ლიდსი — ნოტინგემი
ლივერპული — ვესტ ჰემი
მანჩესტერ იუნ. — ქოვენთრი
ქ.პ.რ. — ევერტონი
შეფილდ უენსდეი — არსენალი
ტოტენჰემი — მიდლსბრო
უიმბლდონი — მანჩესტერ სიტი

13 აპრილი, შაბათი

არსენალი — ტოტენჰემი
ჩელსი — ლიდსი
ქოვენთრი — ქ.პ.რ.
ევერტონი — ლივერპული
მანჩესტერ სიტი — შეფილდ უენსდეი

27 აპრილი, შაბათი

ასტონ ვილა — მანჩესტერ სიტი
ბლექბერნი — არსენალი
ბოლტონი — საუთჰემპტონი
ლიდსი — ნიუკასლი
ლივერპული — მიდლსბრო
მანჩესტერ იუნ. — ნოტინგემი
ქ.პ.რ. — ვესტ ჰემი
შეფილდ უენსდეი — ევერტონი
ტოტენჰემი — ჩელსი
უიმბლდონი — ქოვენთრი

4 მაისი, შაბათი

არსენალი — ბოლტონი
ჩელსი — ბლექბერნი
ქოვენთრი — ლიდსი
ევერტონი — ასტონ ვილა
მანჩესტერ სიტი — ლივერპული
მიდლსბრო — მანჩესტერ იუნ.
ნიუკასლი — ტოტენჰემი
ნოტინგემი — ქ.პ.რ.
საუთჰემპტონი — უიმბლდონი
ვესტ ჰემი — შეფილდ უენსდეი




## საბრალო ფაშანუ

„ასტონ ვილას" თავდამსხმელი ჯონ ფაშანუ იძულებული გახდა ფეხბურთისთვის თავი დაენებებინა. თებერვალში, „მანჩესტერ იუნაიტედის" წინაამდეგ თამაშში მუხლი ისე დაიზიანა, რომ ექიმებმა მისი სავსებით განკურნება ვერ შეძლეს. 32 წლის ფაშანუმ, რომელიც ერთი წლის წინ „ასტონ ვილაში" 1,35 მილიონ დოლარად „უიმბლდონიდან" გადავიდა, ახალ გუნდში მხოლოდ 14-ჯერ ითამაშა.

„გული მატკინა ჯონის ტრავმამ — თქვა „ვილას" შეფმა ბრაიან ლიტლმა — მან ხომ ყველა ღონე იხმარა, რათა კვლავ მწყობრში ჩამდგარიყო, მაგრამ ამაოდ... მის მიმართ სიმპათიას ისიც მიძლიერებს, რომ ჩემი საფეხბურთო კარიერაც ასე დამთავრდა."

ფაშანუმ ამ გადაწყვეტილებით ერთ ჭირსაც აარიდა თავი — გეხსომებათ, მას თამაშების ჩაწყობაში სდებდნენ ბრალს, ახლა კი ფიფა-ს სანქციებს აზრი აღარ აქვს. გარდა ამისა, „ვილა" სადაზღვევო კომპანიისგან 600 ათას გირვანქასაც ელის. ამგვარად, ინგლისის ნაკრებში ორჯერ ნათამაშები ფორვარდის კარიერა დასრულდა.

## სავოს ბენდენა

„ასტონ ვილას" შეემატა 21 წლის ბოსნიელი სერბი ფორვარდი სავო მილოშევიჩი. სავო ყოველთვის მიზანმიმართულია და გოლის გატანა ეხერხება. მისი ჟინიანობის ამბავი აქამდე მხოლოდ ბელგრადის „პარტიზანის" გულშემატკივრებმა იცოდნენ, ახლა კი მთელი ინგლისი შეიტყობს. ბოლო ორი სეზონის მანძილზე მილოშევიჩი იუგოსლავიის საუკეთესო ბომბარდირობას არავის უთმობდა და ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარებდნენ. მისი გოლების წყალობით „პარტიზანი" ორჯერ ჩემპიონი და ერთხელ თასის მფლობელი გახდა. „ჩემთვის ფეხბურთი მხოლოდ გოლების გატანაა — ამბობს სავო — გასულ სეზონში 25-ჯერ გავიტანე და არც ადრე ვაკლებდი."

ერთხელ ტრავმა მიიღო, თავი იტკინა და ბენდენათი შეიხვია. ბენდენა ერთგვარი ცხვირსახოცია. იმ თამაშში სავომ გოლი გაიტანა და მას მერე ბენდენა აღარ მოუშორებია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იწყებს. ქინქლაძეს „ტოტენჰემი" გამოსცდის

### არსენალი
გასულ სეზონში — 12-ე ადგილი
შეემატა: დენის ბერჩკამპი, დევიდ პლატი
წავიდა: ჯიმი კარტერი, პოლ დევისი, კევინ კემპბელი, სტეფან შვარცი, ალან სმიტი.
ჩემპიონობის შანსი: 10/1
პროგნოზი ახალი ჩემპიონატისთვის: მე-7 ადგილი

### ასტონ ვილა
გასულ სეზონში — 18
შეემატა: გერეთ საუთგეიტი, სავო მილოშევიჩი, მარკ დრეიპერი
წავიდა: დინ სონდერსი
ჩემპიონობის შანსი: 50/1
პროგნოზი: 12

### ბლექბერნ როვერსი
გასულ სეზონში — 1
არავინ შემატებია
არავინ წასულა
ჩემპიონობს შანსი 11/4
პროგნოზი — 4

### ბოლტონ ვონდერერსი
გასულ სეზონში გადმოვიდა
შეემატა: კრის ფეირკლაფი
წავიდა: ნეილ ფიშერი, მარკ სიგრეივსი
ჩემპიონობის შანსი 200/1
პროგნოზი: გავარდება.

### ჩელსი
გასულ სეზონში — 11
შეემატა: რუუდ გულიტი, მარკ ჰიუზი
წავიდა: დევიდ ჰოპკინი
ჩემპიონობის შანსი: 33/1
პროგნოზი: 11

### მიდლსბრო
გასულ სეზონში გადმოვიდა
არავინ შემატებია
წავიდა: პოლ უილკინსონი, ტომი რაიტი
ჩემპიონობის შანსი: 66/1
პროგნოზი: 10

### ნიუკასლ იუნაიტედი
გასულ სეზონში — 6
შეემატა: ლეს ფერდინანდი, უორენ ბარტონი, დავიდ ჟინოლა
წავიდა: ბარი ვენისონი, ალან ნელსონი, მაიკ ჯეფრი
ჩემპიონობის შანსი: 7/1
პროგნოზი: 3

### ნოტინგემ ფორესტი
გასულ სეზონში — 3
შეემატა: კევინ კემპბელი, კრის ბარტ-უილიამსი, ანდრეა სილენცი
წავიდა: სტენ კოლიმორი
ჩემპიონობის შანსი: 33/1
პროგნოზი:6

### ქვინზ პარკ რეინჯერსი
გასულ სეზონში — 8
შეემატა: გრეგორი გუდრიჯი, საიმონ ოსბორნი
წავიდა: კლივ უილსონი, მორის დოილი, მაიკლ მიკერი
ჩემპიონობის შანსი: 200/1
პროგნოზი: 14

# პრემიერ-ოცეული

### ქოვენთრი სიტი
გასულ სეზონში — 16
შეემატა: პოლ ტელფერი, მარკუს ისაიაში, კარლოს ბატისტა
წავიდა: მაიკ მარში
ჩემპიონობის შანსი: 200/1
პროგნოზი: 17

### ევერტონი
გასულ სეზონში — 15
შეემატა: კრეიგ შორტი
წავიდა: გერი როუეტი
ჩემპიონობის შანსი: 33/1
პროგნოზი: 13

### ლიდს იუნაიტედი
გასულ სეზონში — 5
არავინ შემატებია
წავიდა: კრის ფეირკლაფი
ჩემპიონობის შანსი: 11/1
პროგნოზი: 5

### ლივერპული
გასულ სეზონში — 4
შეემატა: სტენ კოლიმორი
არავინ წასულა
ჩემპიონობის შანსი: 5/1
პროგნოზი: 1

### მანჩესტერ სიტი
გასულ სეზონში — 17
შეემატა: გიორგი ქინქლაძე
წავიდა: სტივ ფინი, მაიკლ ქუიგლი
ჩემპიონობის შანსი: 50/1
პროგნოზი: 16

### მანჩესტერ იუნაიტედი
გასულ სეზონში — 2
არავინ შემატებია
წავიდა: პოლ ინსი, მარკ ჰიუზი
ჩემპიონობის შანსი: 9/4
პროგნოზი: 2

### შეფილდ უენსდეი
გასულ სეზონში — 13
შეემატა: მარკ პერმბრიჯი, მარკ დეგრიზი
წავიდა: კრის ბარტ-უილიამსი
ჩემპიონობის შანსი 66/1
პროგნოზი: გავარდება

### საუთჰემპტონი
გასულ სეზონში — 10
არავინ შემატებია
არავინ წასულა
ჩემპიონობის შანსი 150/1
პროგნოზი: 15

### ტოტენჰემ ჰოთსპური
გასულ სეზონში — 7
შეემატა: კრის არმსტრონგი, კლაივ უილსონი
წავიდა: იურგენ კლინსმანი, ჯონ ჰენდრი
ჩემპიონობის შანსი: 25/1
პროგნოზი: 8

### ვესტ ჰემ იუნაიტედი
გასულ სეზონში — 14
შეემატა: მარკო ბუგერსი
წავიდა: მარტინ ჰოლანდი, მარკ რიეპერი
ჩემპიონობის შანსი: 200/1
პროგნოზი: გავარდება

### უიმბლდონი
გასულ სეზონში — 7
არავინ შემატებია
წავიდა: უორენ ბარტონი
ჩემპიონობის შანსი: 80/1
პროგნოზი: 9

## ის საუცხოოა...

ჟურნალ „90 მინითზ"-ში გამოქვეყნდა ინტერვიუ „მანჩესტერ სიტის" მწვრთნელთან ალან ბოლთან. გთავაზობთ ინტერვიუს იმ ფრაგმენტს, რომელიც „სიტის" ქართველ ახალწვეულს გიორგი ქინქლაძეს ეხება. კითხვაზე, ვინ არის ქინქლაძე, გვითხარით მის შესახებ რამეო, ბოლი პასუხობს:

— ქინქლაძე საქართველოს ნაკრების წევრია, ის ფეხბურთელია (ეს ცუდი არ არის — „90 მინითზ"-ის რედ.), საუცხოო მოთამაშეა, მას ბრწყინვალე ტექნიკა აქვს. უელსის ნაკრების წინააღმდეგ მან დიდებულად ითამაშა. ერთადერთი — ეს ყველა უცხოელ მოთამაშეზე შეიძლება ითქვას — საეჭვო ის არის, შეეჩვევა თუ ვერა ინგლისურ ინტენსიურ ვარჯიშებს და პრემიერლიგის რიტმს. ამას მანამდე ვერ გეტყვით, სანამ მას გუნდის ყოველდღიურ ცხოვრებაში არ ვნახავ...

...ფეხბურთში დიდი ფული ტრიალებს, ინგლისის პრემიერლიგაც საკმაოდ მდიდარია და ამიტომაცაა, რომ წლეულს ჩვენმა გუნდებმა ბევრი უცხოელი ფეხბურთელი იყიდეს. ეს კარგია, ხალხი აწი სტადიონზე ივლის ისეთი დიდი ვარსკვლავების საცქერლად, როგორებიც არიან ქინქლაძე, ბერხკამპი, პლატი და გულიტი. ეს ამაღელვებელია.



ალან ბოლი



გაუძლებს ამას გიორგი ქინქლაძე?

## ფეხბურთის რუკასთან



ბლექბერნის პოლ ვორჰარტი, რომელმაც რიგრიგობით ორივე ფეხი მოიტეხა, ახლა გამოჯანმრთელდა და გუნდთან ერთად პირველი მსუბუქი ვარჯიშიც ჩაატარა.

ბოლტონის მარკ პეტერსონმა კლუბთან ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი.

ლივერპულში ჯონ ბარნსმა განაახლა კონტრაქტი. მისი ახალი ხელშეკრულება სამწლიანია. სამაგიეროდ, კლუბმა ვერ გადაიბირა „ტოტენჰემის" ფორვარდი ნიკ ბარმბი, რადგან არ აღმოაჩნდა ამ გარიგებისთვის საჭირო 6,5 მილიონი დოლარი. „ლივერპულმა" ვერც თავის მცველს ფილ ბებს გაუხერხა „მოთამაშეს პლუს ფულის" ტიპის გაყიდვა. სტიგინგ ბიორნებიმ კი კიდევ ორი წლით გადაწყვიტა „ანფილდზე" თამაში.

მანჩესტერ სიტის მცველს ენდი ჰილს არ ეპიტნავა ახალი ხელშეკრულება თავის გუნდთან და ახლა გაფიცვით იმუქრება.

ნიუკასლელი რუილ ფოქსს კი სადარდებელი გაუჩნდა. ფრანგი ვარსკვლავის დავიდ ჟინოლას მის გუნდში გადასვლამ შესაძლოა იგი „სენტ-ჯეიმს პარკიდან" გარიყოს კიდეც.

## „ქოვენთრის" შავი უფლისწული და „ლივერპულის" უბრწყინვალესი



### პიტერ ნდლოვუ

„ქოვენთრი სიტის" თავდამსხმელი პიტერ ნდლოვუ აფრიკელ გიგზად მონათლეს და რაღა გასაკვირია, „ჰაიფილდ როუდზე" უფლისწულივით რომ ეპყრობიან. ნდლოვუს „ბრაზილიური" ბრწყინვალების ცქერალა ახალისებთ „ქოვენთრის" ქომაგებს. ზიმბაბველი რომ იყიდა, კლუბმა მასში მხოლოდ 10 ათასი გირვანქა (?!) გადაიხადა. ეს 1991 წელს იყო. დღეს ფეხბურთელი, სულ ცოტა, 300-ჯერ ძვირი ღირს.

ელვასავით სწრაფი 22 წლის პიტერის გადაბირება წლეულს „ნიუკასლსაც" უნდოდა, „ბლექბერნსაც" და „ლივერპულსაც", მაგრამ „ქოვენთრის" ბოსმა თავისი ვარსკვლავი არსად გაუშვა.

### სტივ მაკმანამანი

„ლივერპულის" გასული სეზონის უბრწყინვალესი მოთამაშე სტივ მაკმანამანი გახლდათ. მან საბოლოოდ დაადუმა კრიტიკოსები. „ანფილდზე" ბერდსლისა და ბარნსის საუკეთესო თამაშების შემდეგ ასეთი არ უნახავთ. ახალ ამპლუაში, ორი თავდამსხმელის უკან, მან ახლებურად გაიბრწყინა. „კრიტსალ პალასისა" და „შეფილდ უენსდეის" მცველები მისი დრიბლინგისას აქეთ-იქით ცვიოდნენ, „ბოლტონს" კი ორი გოლი გაუტანა. თუ 23 წლის მაკმანამანმა წლეულსაც ასე ითამაშა, „ლივერპულის" შანსები პირველობისთვის ერთიორად გაიზრდება.



# უცხოური სპორტის
# სარბიელი

გაზეთ „სარბიელის“ ყოველთვიური დამატება-დაიჯესტი № 2 აგვისტო, 1995 ფასი 1500 მან ან ფარდი კუპ


ეროვნული ბიბლიოთეკა

**უკვე გაყიდვაშია «სარბიელის» ყოველთვიური დამატება-დაიჯესტის მეორე გამოშვება, სადაც სპორტის მოყვარულთ ინგლისური, ესპანური, ფრანგული, გერმანული ამერიკული და თვით სამხრეთაფრიკული ჟურნალ-გაზეთებიდან ნათარგმანევი წერილები მოვუმზადეთ**

**ნუ დატოვებთ წაუკითხავს, ყოველი მომდევნო ნომერი წინაზე საინტერესო იქნება!**




მიქაელ ლაუდრუპი ხუთგზის ჩემპიონი



ჯორჯ ბესტი საუკეთესო მამაკაცია!

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

საფრანგეთის ჩემპიონატის მე-5 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18-19.VIII | ნანტი — ნიცა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| | სენტ-ეტიენი — ბასტია | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| | გინგამი — ბორდო | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| | გენიონი — პსჟ | 5,0 | 3,0 | 1,3 |
| | სტრასბური — რენი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| | ლანსი — ლიონი | 1,4 | 3,0 | 4,0 |

გერმანიის ჩემპიონატის მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18.VIII | ჰამბურგი — ვერდერი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| | შალკე — ჰანზა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 19.VIII | ლევერკუზენი — დორტმუნდი | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| | მიუნხენი — შტუტგარტი | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| | კარლსრუე — ბაიერნი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| | ფრაიბურგი — ზანქტ-პაული | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| | ურდინგენი — აინტრახტი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| | კაიზერსლაუტერნი — მიონხენგლადბახი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| 20.VIII | დიუსელდორფი — კიოლნი | 1,6 | 2,8 | 3,2 |

ინგლისის ჩემპიონატის I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.VIII | არსენალი — მიდლსბრო | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| | ბლექბერნი — ქუინზ პარკი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| | ლივერპული — შეფილდი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| | ნიუკასლი — ქოვენთრი | 1,15 | 3,0 | 8,0 |
| | ვესტ ჰემი — ლიდსი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| | ასტონ ვილა — მანჩესტერ იუნ. | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| | ჩელსი — ევერტონი | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| | მანჩესტერ სიტი — ტოტენჰემი | 1,5 | 3,0 | 3,4 |
| | საუთჰემპტონი — ნოტინგემი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| | უიმბლდონი — ბოლტონი | 1,5 | 2,7 | 4,0 |

რუსეთის ჩემპიონატის 21-ე ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 19.VIII | დინამო (მ) — ტორპედო (მ) | 2,5 | 2,3 | 2,2 |
| | ლოკომოტივი (მ) — კამაზი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| | კრ. სოვეტოვი — როსტსელმაში | 1,5 | 3,0 | 3,4 |
| | ჟემჩუჟინა — ცსკა | 4,4 | 3,2 | 1,3 |
| | ურალმაში — სპარტაკი (ვლ) | 3,8 | 2,8 | 1,5 |
| | ლოკომოტივი (ნ.ნ.) — სპარტაკი (მ) | 5,6 | 3,2 | 1,2 |
| | როტორი — ტექსტილშჩიკი | 1,2 | 3,0 | 6,5 |

თურქეთის ჩემპიონატის მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18-20.VIII | ანკარაგიუჯიუ — ისტანბულსპორი | 1,15 | 3,0 | 8,0 |
| | ბეშიქთაში — გენჩლერბირლიგი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| | ესქიშეჰირსპორი — ფენერბაჰჩე | 2,3 | 2,4 | 2,3 |

პორტუგალიის ჩემპიონატის I ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.VIII | პორტო — სპორტინგი | 1,4 | 2,8 | 4,4 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

გერმანია (მე-2)
27 და მეტი -1,8
25 და ნაკლები -1,8

ინგლისი (პირველი)
28 და მეტი -1,8
26 და ნაკლები -1,8

რვაათასიანები

# დიადი დრო შავ ბუმბერაზზე

სამხრეთის ქარს თითქოს დედამიწაზე რაც ღრუბლები იყო ერთად შეეყარა და მაკალუს ჰორიზონტზე მოეყარა. ავისმომასწავებელი ღრუბლები მხოლოდ მაკალუს კი არა, მთელი ჰიმალაისკენ მოიწევდნენ. ეს ღრუბლები მუსონის დასაწყისის მაცნეები იყვნენ, მაგრამ შავი ბუმბერაზის ფერდობებზე შეფენილი მთამსვლელები ამას აინუნშიაც არ აგდებდნენ. ისინი უკვე გამარჯვებული ალპინისტები იყვნენ — სენსაციური გამარჯვების ავტორები...

მაგრამ ეს მათ გარდა ჯერ არავინ იცოდა.

ფრანგებმა მაშინ აალაპარაკეს მსოფლიო, როცა რვაათასიანების ისტორიაში პირველებმა მოახრევინეს ქედი ასეთ გოლიათს. გახსოვთ ალბათ, ეს ანაპურნა იყო.

და აი, ახალი წარმატება, მანამდე არნახული და არგაგონილი გამარჯვება!

საქმე მხოლოდ ის კი არ იყო, რომ მაკალუზე პირველამსვლელებიც ფრანგები აღმოჩნდნენ, „უბრალოდ" ისინი იყვნენ პირველნი, რომლებიც რვაათასიან მწვერვალზე...

მაგრამ ამაზე ქვემოთ, ახლა კი თანმიმდევრულად მივყვეთ მაკალუზე მოიერიშეებს, რომლებმაც წინა წელს ახალზელანდიელებზე და ამერიკელებზე მეტ სიმაღლეს, 7800 მეტრს მიაღწიეს და ქარიშხლის გამძვინვარების გამო მწვერვალზე ხელი აიღეს.

ჟან ფრანკოს მეთაურობით იმ ასვლის მონაწილეებს ჟან ბუვიეს, პიერ ლერუას, გვიდო მანიონს და კიდევ ორ მთამსვლელს ჟან კუზისა და ლიონელ ტერაის, რომლებიც ანაპურნაზე პირველი წარმატებული ექსპედიციის მონაწილენი იყვნენ, დაემატნენ ახალგაზრდა, მაგრამ ალპებში რთულ ასვლებზე ნაცადი ანდრე ვიოლატი და სერჟ კუპე. მათ გარდა ექსპედიციაში ერთი გეოგრაფი და ექიმიც ჰყავდათ. იმ ექიმის ა. ლაპრას ვიწრო სპეციალობა ქირურგია იყო. ეტყობა, ქირურგი იმად აჯობინეს, რომ ანაპურნაზე პირველამსვლელებს ლუი ლაშენალსა და მორის ერცოგს მოყინული თითების მოსაკვეთად სწორედ ამ სპეციალობის კაცი სჭირდებოდათ და გამორიცხული სულაც არ იყო, რომ მაკალუზეც იგივე განმეორებულიყო.

ასე იყო თუ ისე, ფრანგები წინა წლის წარუმატებლობის მერე მეტი გულმოდგინებით მოემზადნენ. გვიდო მანიონმა დაამუშავა საიერიშო სამოსის ახალი მოდელი, რომელიც წინამორბედებზე თბილი, მსუბუქი და მოხერხებული იყო; ჟან კუზი ჟანგბადის ბალონებს ჩაუჯდა და მისი ტევადობა 230 ატმოსფერომდე გაზარდა, წონა კი შეამსუბუქა; ექსპედიციისთვის შეარჩიეს უფრო კალორიული, მსუბუქი და იოლად გადასამუშავებელი საკვების რეცეპტი.

ფრანგებმა მიიწვიეს მცირერიცხოვანი, მაგრამ გამოცდილი შერპები: ჯომოლუნგმაზე ექსპედიციის მონაწილენი ანგ თზერინგი, მინგმა თზერინგი; კანჩენჯანღაზე მოიერიშე ანგ ბაო, აგრეთვე თავიანთი ძველი ნაცნობები აილა, პანზი და გიალცენ ნორბუ. ამათგან პირველი ორი ფრანგებს ანაპურნაზე ახლდა, ხოლო გიალცენ ნორბუ მათთან ერთად წინა წელს ცდილობდა მაკალუზე ასვლას, თან შერპებს მეთაურობდა. ეგი ახლაც მათი სირდარი იყო. ექსპედიციაში კიდევ რამდენიმე შერპი შეიყვანეს, მათ შორის უმცროსი გიალცენი, ანგ ფუტარი და სხვები.

ექსპედიციამ თავისი ლაშქრობა ამჯერად შემოდგომაზე კი არა, გაზაფხულზე იმგვარად დაგეგმა, რომ გადამწყვეტი იერიში 15 მაისამდე დაეწყოთ, რათა მუსონების დადგომამდე სამი კვირით ადრე მოეთავებინათ საქმე და თუ პირველი ასვლით მიზანს ვერ მიაღწევდნენ, განმეორებითი ცდებისთვის სათადარიგო დრო შემორჩენოდათ.

მაკალუს ძირს ექსპედიციამ 4 აპრილს მიაღწია და საბაზო ბანაკი 4700 მეტრზე მოაწყო. ამ დროს აქ ჯერ კიდევ ზამთარი იდგა. დღე ხალისიანად იწყებოდა, რაკი მზე იქაურობას ათბობდა, მეორე ნახევარი კი ჩვეულებისამებრ მოქუფრული იყო. ამ დროს ცივი ქარი უბერავდა და თოვაც იწყებოდა, მაგრამ მთამსვლელები მაინც ფუსფუსში იყვნენ. ჟან ბუვიემ და პიერ ლერუამ, რომლებიც პროფესიით არქიტექტორები იყვნენ, სამზარეულო და სასადილო იქვე მიმოფანტული ქვებით ააგეს, მერე ეს ყორესავით ნაგებობა გადაიქცა მთამსვლელთა თავისებურ საკრებულოდ და კლუბად, რის გამოც მას „ოტელ მაკალუ" შეარქვეს და ეს სახელი მას დღემდე შემორჩა.

მთამსვლელებმა, როგორც 1954 წელს, ახლაც სააკლიმატიზაციო და სავარჯიშო ასვლები დაიწყეს, ოღონდ მეტისმეტიც რომ არ მოსვლოდათ, 6400 მეტრამდე სიმაღლისა და იოლად დასამორჩილებელ მწვერვალებს ლაშქრავდნენ, იმავდროულად საშუალედო ბანაკების მოწყობაზეც ზრუნავდნენ. თავდაპირველად შერპებმა ძირითადი ბანაკი ბარუნის მყინვარის მორენაზე გადაიტანეს, მერე მეორე ბანაკიც (5800 მ) გამართეს. 7 მაისს მზად იყო მესამეც (6300მ), რომელიც სამხრეთ-დასავლეთის ცირკის ზედა ნაწილში მოეწყოთ. ამ ბანაკისთვის მოედანი ბუვიემ, ლერუამ, კუზიმ და ტერაიმ მოასწორეს და გატკეპნეს. შერპებმა კი იქ სამი ტონა საჭურველი და პროდუქტი აზიდეს.

აქედან მთამსვლელებმა დაინახეს, რომ გასულ წელთან შედარებით მარშრუტის საფარი შეცვლილიყო — მყინვარი თოვლისაგან თითქმის მთლად მოსუფთავებულიყო და მაკალუს უღელტეხილზეც ცოტაღა დარჩენილიყო.

8 მაისს ფრანკომ და მანიონმა მეოთხე ბანაკიც (7000მ) გამართეს, მეორე დღეს კი ბუვიე და ლერუა მაკალუს უღელტეხილზე ავიდნენ, სადაც 7410 მეტრ სიმაღლეზე მეხუთე ბანაკი დასცეს.

თითოეულ ამ ბანაკს საჭურველით, საკვებითა და ჟანგბადის ბალონებით იმგვარად ამარაგებდნენ, რომ მწვერვალზე ოთხი იერიშის შესაძლებლობა ჰქონოდათ.

ერთ დღეში — ერთი ბანაკი! ეს ჩინებული ტემპი იყო, რაც იმან განაპირობა, რომ ფრანგები და შერპები ჯგუფებად დაიყვნენ. თითოეულ ჯგუფში ორი ფრანგი და რამდენიმე შერპი აღმოჩნდა, რომლებმაც მოვალეობა გაინაწილეს და მარშრუტის დამუშავება და ბანაკების მოწყობაც ამგვარად გააჩაღეს. თითოეულ ჯგუფს ერთმანეთთან რადიოკავშირი ჰქონდა, რაც რაღა თქმა უნდა საქმეს აიოლებდა. ამის შედეგად ბანაკებს შორის სავალი მთლიანად მონიშნეს, რათა ნისლში გზა არ აბნეოდათ, ზოგან თოკის მოაჯირები გააბ-ჩამოაბეს, ნაპრალებზე კი გადასასვლელები მოაწყვეს.

ბუვიემ და ლერუამ მეოთხედან მეხუთე ბანაკამდე 800 მეტრი სიგრძის თოკის მოაჯირი გააბეს, რისთვისაც ასობით კლდისა თუ ყინულის პალო ჩააჭედეს და ჩახრახნეს.

ამასობაში გადამწყვეტი იერიშის გეგმაც საბოლოოდ დააზუსტეს. გადაწყდა, რომ უღელტეხილზე „გაშენებული" მეხუთე ბანაკიდან თავდაპირველად ტერაი და კუზი გავიდოდნენ. მათ ფრანკო და მანიონი მიჰყვებოდნენ. პირველ წყვილს 7800 მეტრზე მეექვსე ბანაკი უნდა დაედგა და ასვლა გაეგრძელებინა, მეორე წყვილი კი 24 საათის მერე დაიძრებოდა და თუ საჭირო გახდებოდა მწვერვალთან ახლოს მეშვიდე ბანაკს დადგამდა. იმ შემთხვევაში, თუ პირველი ორი წყვილი მიზანს ვერ მიაღწევდა, რამდენიმე დღის მერე ახლა მომდევნო ოთხეული ცდიდა ბედს.

ფრანგების აზრით ასეთი გეგმა ნებისმიერ მოულოდნელობას გამორიცხავდა, რაც წარმატების საწინდარი უნდა ყოფილიყო.

13 მაისს ტერაი და კუზი ხუთ შერპთან ერთად მეხუთე ბანაკიდან გავიდნენ. იმავე დროს ფრანკო და მანიონი მეოთხე ბანაკიდან უღელტეხილზე ავიდნენ. მათ იქ დახვდათ ორი შერპი, რომლებიც პირველ წყვილთან უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ თავი ცუდად უგრძვნიათ და კარავში დაბრუნებულან. აქედან ფრანკო და მანიონი მწვერვალისაკენ იყურებოდნენ, მაგრამ დიდხანს ვერავის ხედავდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, შედარებით ახლოს, თოვლიან ქედზე სამი შავი მოძრავი წერტილი გამოჩნდა. ფრანკოსა და მანიონს გულმა რეჩხი უყო, რაკი ორი წერტილი არსად ჩანდა და ის სამიც ძალიან ნელა მოძრაობდა.

როგორც იქნა ის სამი შავი წერტილი მოახლოვდა. სამივე შერპი აღმოჩნდა: აილა, უმცროსი გიალცენი და ფუტარი. აილამ ტერაის გამოგზავნილი ბარათი ექსპედიციის მეთაურს გადასცა. როცა ფრანკომ წერილი ჩაიკითხა, შვებით ამოისუნთქა. წინა წყვილი თურმე ჩრდილო ფერდობზე ტრავერსით გადასულა. ეს ტექნიკურად რთული არ აღმოჩენილა, მაგრამ ყინულოვანი და ზვავსაშიში ადგილი ყოფილა. დაახლოებით 7650 მეტრის სიმაღლეზე ტერაისა და კუზის სერაკებს შორის მოქცეული გასასვლელი უპოვიათ და იქიდან მყინვარის ზედა ტერასამდე ასულან, სადაც 7800 მეტრზე მეექვსე ბანაკი დაუდგამთ.

მერე შერპებმა თავიანთი თავგადასავალიც უამბეს. ისინი თურმე საკმაოდ მძიმედ დატვირთულნი ადიოდნენ, მიუხედავად ამისა, ფრანგებისთვის ჟანგბადის ეკონომიას აკეთებდნენ, რისთვისაც მას მინიმალურად სუნთქავდნენ. ამიტომაც შერპები ძალზე ნელა მიიწევდნენ ზემოთ. დაბრუნებისას ერთ-ერთ ციცაბო ადგილზე მოსხლტდნენ, მაგრამ საბედნიეროდ, შეჩერება მოახერხეს, თუმცა ტრავმებს მაინც ვერ გადაურჩნენ.

ტერაისა და კუზის გადამწყვეტი იერიშის წინ ცივი ღამე დაუდგათ. ორმაგ კარავში ყინვა 32 გრადუსი იყო. დილის 7 საათზე, როცა მზე მწვერვალის ფერდობებს მიადგა, მთამსვლელებმა ასვლა დაიწყეს. გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდესო და ამიტომ ჟანგბადის მომჭირნეობით ხარჯვა გადაწყვიტეს, რის გამოც მისი მიწოდება წუთში 2 ლიტრზე დაეყვანა.

გზა თავდაპირველად თოვლიან კულუარში გადიოდა. აქ „ბილიკის" დახრილობა 35 გრადუსი იყო, მაგრამ სავალს ართულებდა გამომშრალი ფხვიერი თოვლი, რაზეც ფეხის მოკიდება ჭირდა. სამაგიეროდ კულუარი ქარისაგან იმდენად იყოდაცული, რომ ბუმბულის ქურთუკები გაიხადეს. მალე კუზიმ შენიშნა, რომ მის მეგობარს სიარული გაუჭირდა და მძიმედ დაიწყო სუნთქვა. ერთ საათში 300 მეტრით აიწიეს. შესასვენებლად რომ შეჩერდნენ ჟანგბადის ბალონები შეამოწმეს. თურმე ტერაის ბალონს სარქველები ყინულით ამოვსებოდა და დაზიანებულიყო, ჟანგბადს წუთში ორის ნაცვლად ერთ ლიტრს უშვებდა, რის გამოც კუზის მეგობარი მძიმედ სუნთქავდა, როცა სარქველები წესრიგში მოიყვანეს, მათ გაცილებით სწრაფად დაიწყეს ასვლა.

კულუარი რომ აათავეს, გადაწყვიტეს გზა კლდოვანი კედლით გაეგრძელბინათ. ეს კლდეები ციცაბო კი იყო, მაგრამ სამაგიეროდ ბევრი შვერილები ჰქონდა, რამაც მთამსვლელებს ერთდროული მოძრაობის საშუალება მისცა. ბოლოს, როგორც იქნა გავიდნენ თხემზე, რომელიც მწვერვალის წინ ატყორცნილი ყინულოვანი კლდით თავდებოდა.

და აი, უკანასკნელი მეტრებიც. აქ ტერაი ოდნავ ჩამორჩა, რათა მწვერვალზე მეგობრის ფეხის შედგმის მომენტი ფირზე აღებეჭდა. მერე ისინი იხსენებდნენ, რომ მაკალუზე არც თოვლიანი გუმბათი დახვედრიათ და არც მოედანი, თუნდაც პატარა. მაკალუს უმაღლესი წერტილი კარგად გათლილი ფანქრის წვერს შეადარეს.

სიმაღლით მეხუთე მწვერვალი პირველად დანებდა მთამსვლელებს. ეს მოხდა 1955 წლის 15 მაისს.

მაშინ, როცა კუზი და ტერაი მწვერვალზე იდგნენ და გრანდიოზული ჰიმალაის ზღაპრული სილამაზით ტკბებოდნენ, ფრანკო და მანიონი ხუთ შერპთან ერთად მეექვსე ბანაკში ამოსულიყო. როცა მათ ის-ის იყო მძიმე ზურგჩანთებისაგან მხრები გაინთავისუფლეს, მწვერვალიდან ძლივს გასაგონი ყიჟინა შემოესმათ. მიხვდნენ, რომ მათი მეგობრები მაკალუს უმაღლეს წერტილზე იდგნენ. ჰოდა, აქეთ ფრანკო და მანიონი აყვირდნენ „გამარჯვება", „გამარჯვებაო" იქით შერპები ხმაშეწყობილად ჭყიოდნენ „მა-კა-ლუ!" „მა-კა-ლუ!"

ამ დროს 12 საათი და 30 წუთი იყო.

მეექვსე ბანაკში ამოსულებმა ცოტა რომ დაისვენეს და სულიც მოითქვეს ფრანკო, მანიონი, გიალცენი და და-ნოო იქ დასარჩენად მოემზადნენ, დანარჩენები კი მათთან გამომშვიდობების მერე ქვემოთ დაეშვნენ.

ხანი რომ გავიდა, კარავში შეყუჟულებმა თოვლზე ხრაშა-ხრუშის ხმა გაიგონეს და გარეთ გამოცვივდნენ. მათ ტერაისა და კუზის დაღლილი, მაგრამ მაინც გაბადრული სახეები დაინახეს და თოვლში ბუღრაობით მათკენ გაიჭრნენ. მერე კი იყო ერთი ხვევნა-კოცნა, მხრებზე ხელის ბარტყუნი და ერთმანეთის გამოკითხვა.

მეორე დღეს ასეთივე სურათი განმეორდა, როცა „კარგად გათლილი ფანქრის" წვერიდან ფრანკო, მანიონი და გიალცენი დაბრუნდნენ.

ეს უკვე რეკორდი იყო, რაკილა მანამდე არცერთ რვაათასიანზე არ ასულა ერთი ექსპედიციის ამდენი მონაწილე, მაგრამ ფრანგებმა ამ დიდი გამარჯვებითაც გული ვერ იჯერეს და მესამე ჯგუფითაც შეუტიეს მწვერვალს. ამ ჯგუფში იყვნენ კუპე, ლერუა, ვიოლატი და ბუვიე. ისინი ერთ დღეში მესამედან მეექვსე ბანაკში ამოსულიყვნენ და დასასვენებლად ერთი ღამის მეტი აღარ დარჩენოდათ, მაგრამ მეგობართა დიდი გამარჯვება ამხნევებდათ და ერთი სული ჰქონდათ.

და აი, 17 მაისს ისინიც მაკალუს გათლილი ფანქარივით წვერზე არიან, ისინიც მშვიდობით ეშვებიან ქვემოთ და მალე შორს, ჰორიზონტზე მუსონის მომასწავებელი ღრუბლებიც იყრიან თავს. მაგრამ მთამსვლელებს ეს აღარ აღელვებთ. ფრანგები გამარჯვებულები არიან. ისინი მაკალუზეც პირველამსვლელები გახდნენ. ფრანგები სენსაციური წარმატების ავტორებიც არიან, რაკი მანამდე და მის შემდეგაც ისინი იყვნენ პირველნი, რომელთა ექსპედიციის ყველა წევრმა რვაათასიანიდან გადმოიხედა, ცხრა კაცმა გადმოიხედა!

ავთანდილ გურასაშვილი





ბამბუკის ხიდი მდინარე არუნზე


ექსპედიციის მებარგულთა პირველი ნაბიჯები თოვლზე


ყინულის კედელზე მეორე ბანაკთან


7 000 მეტრ სიმაღლეზე

# ზორბა, მარდი და ფრიადი

„ოლ ბლექსის“ 196 სანტიმეტრი და 118 კილო გარემარბი ჯონა ლომუ უმწეო მეტოქეებს გარს კი არ შემოურბენს და არც ფეხის აცეკვებით თავგზას აუბნევს, არამედ პირდაპირ გადათელავს ხოლმე!



დამკვირვებლებს, ვინაც თებერვლის დასაწყისში, ტაუპოში დაესწრნენ „ოლ ბლექსის“ საზაფხულო შეკრებას, ჯონა ლომუზე გული აუცრუვდებოდათ. დიდი იმედების ჩამსახველი ვუნდერკინდი, წინა სეზონში 19 წლისა რომ გაიყვანეს ტესტ-არენაზე საფრანგეთის წინაამდეგ, ისე ირჯებოდა, რომ ცხადი იყო, მსოფლიო თასზე არ წაიყვანდნენ. სამკილომეტრიანი რბენის ფინიშთან ლომუ 32-ე მივიდა და ძლივს ჩაეტია მწვრთნელ ლორი მეინსის მიერ დაწესებულ 15-წუთიან ფარგალში, 150-მეტრიან აჩქარებებს კი ისე უხალისოდ ასრულებდა, რომ დანარჩენმა მოვარჯიშეებმა 30-30 რომ მოითავეს, ლომუს ბოლო ჯერ კიდევ არ დაეწყო.

მეინსი არ ინდობდა შეგირდს. ესეც დაავალა: წადი და ათჯერ გაქუსლე კარის ხაზიდან უქმი ბურთის ხაზამდე და რამდენჯერაც იქ მიხვალ, მიწიდან ათჯერ აზიდე ტანიო. ამის გამგონე ლომუ დაღლილობით ვითომც ცუდად შეიქნა. მაშინ გუნდს გამოეყო ვეტერანი ბურჯი რიჩარდ ლოუ და ლომუ რომ გაეხალისებინა, აზიდვებს მასთან ერთად აკეთებდა, თანაც უღრენდა, მიდი, ბიჭო, მაგის გაკეთებას რა უნდაო.

ამ შეკრების შემდეგ ხმა დაირხა, ლომუ ფიზიკურად ისე ვერაა მზად, ნაკრებს რომ შეეფერებაო. არადა, მწვრთნელ მეინსს დაეჟინებინა, „ოლ ბლექსი“ მსოფლიო თასის სხვა ნებისმიერ მონაწილეზე 20 პროცენტით მეტად ნავარჯიშები უნდა იყოსო.

მერე, თებერვლის ბოლოს ქრაისთჩერჩში მოეწყო ბოლო საწვრთნელი შეკრება. იქ მეინსმა ფაქტიურად ხელი ჩაიქნია ლომუზე და თუმც ოფიციალურად არ გამოუცხადებია, ჯონა და მეორეხაზელი მარკ ქუქსლი, გუნდის ორი უახმახესი წევრი, მსოფლიო თასის ნაკრებიდან დაითხოვა და თან აცნობა, „ოლ ბლექსის კლუბის“ ხელშეკრულებები გაგიუქმდებათო. ეს „კლუბი“ სხვა არაა, თუ არა ფონდი, საიდანაც ნაკრების წევრები ფულს იღებენ.

ლომუს კარიერა შეიძლება ამით დასრულებულიყო. შეიძლება შედარებით იოლ გზასაც დასდგომოდა და მიეღო ლიგის რაგბისეული რომელიმე მაცდუნებელი წინადადება, მით უფრო, რომ სულ ყმაწვილს ამ თამაშისთვის უკვე მოესწრო გემოს გასინჯვა, ან სულაც თვინიერად დაყაბულებულიყო მეორეხარისხოვანი მოთამაშის როლს.

საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. ბიჭმა, ვისაც მანამდე არასოდეს დასჭირვებია თანდაყოლილი ფრიადი ნიჭის სრულად წარმოჩინება, მით უფრო, რომ რა გუნდშიც უთამაშია, ყველაში ტანით უდიდესი ყოფილა, — გადაწყვიტა რაგბს სერიოზულად მოკიდებოდა. გამოხდა სულ რაღაც ერთი თვე და ლომუმ ჰონკონგის შვიდკაცას დროს მოხიბლა მსოფლიო. მისმა გამანადგურებელმა აფეთქებებმა ფიჯს ჩემპიონობის დაბრუნების იმედი გადაუწურა.

ზელანდიელთა შვიდკაცას მწვრთნელმა გორდონ ტიეციენსმა კარგად უწყოდა, ლომუს ეულად რომ ხელეწიფებოდა მატჩის მოგება, ამიტომ დასკვნითი თამაშებისთვის გადაინახა, მერე კი დაავალა, ფიჯელ ვაისალე სერევიზე მიდი ბურთიანად, გაბრტყელე და გადმოაგდეო. მართლაც, ფინალი რომ დამთავრდა, სერევის ისეთი გრძნობა ჰქონია, ვითომც ასფალტის დამგებ მანქანას გადაევლოს. ამ მანქანას, რა თქმა უნდა, ჯონა ერქვა.

ლომუს ჰონკონგურმა ფურორმა მეინსს მისკენ ისევ მოუბრუნა გული. მწვრთნელმა ჯონა გამოითხოვა საშვიდკაცო გუნდიდან, იაპონიაში რომ უნდა გამგზავრებულიყო, და შეიყვანა იმ სიაში, რომლის წევრებიც აპრილში უნდა ეთამაშებინა საბოლოო შემადგენლობის დასადგენად დაგეგმილ საწვრთნელ მატჩებში.

ლომუს აქამდე მხოლოდ უვარჯიშებლობასა და არხეინობას როდი უკიჟინებდნენ. უწუნებდნენ დაცვაში თამაშსაც, რაც 1994 წელს წარმოუდგენლად გამოიყენეს ფრანგებმა. მიუხედავად ამისა, ყველაფერი თავ-თავის ადგილზე დააყენა ჩრდილოეთ — სამხრეთის მატჩმა, რომელშიც ლომუ ვარსკვლავად წარმოჩნდა. ჯონამ თავად გაიტანა ორი ლელო და თავისიანებს კიდევ ორი გაატანინა, თანაც აშკარა იყო, რომ ბოჭვაც გაეუმჯობესებინა.

ლომუ მაინც არ ათამაშეს კანადასთან, მაგრამ ბოლო საწვრთნელი თამაშისათვის უკეთეს შემადგენლობაში დაასახელეს. მანაც, ვანგარეიში, პროჟექტორების შუქზე ისე ითამაშა, რომ გუნდის შემრჩევლები: მეინსი, ერლ კირტონი და როს კუპერი დარწმუნდნენ, რომ ჯონა მსოფლიო თასზე უნდა წაეყვანათ.

ამ თამაშზე ლომუმ ორი გამაოგნებელი ლელოც გაიტანა, ერთი ბრწყინვალე აბრაგანიც მოიგერია, მეტოქის მცველი შეინ ჰოვართი კი ისე შებოჭა, რომ ლამის იყო, შუაზე გააპო. ლომუმ სულ მთლად დაიბრიყვა მარკ ელისი, ვინაც კანადასთან მას ანაცვლეს. მეინსმა თამაშის შემდეგ შენიშნა, ეტყობა, დაცვისთვის მიუხედავს და მოხარულიც ვარ, ნაკრებში რომ დავიბრუნეთო. ლომუმ ფორმაში ყოფნა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, როცა ნაკრების მსოფლიო თასზე სათამაშოდ გაფრენამდე 72 საათით ადრე ზელანდიელი „ბარბაროსების“ წინაამდეგ ითამაშა. ამ მატჩში იგი ისევ ვერავინ გააკავა და ჯონამაც ორი ლელო გაიტანა.

თუ ლომუს გაბარიტებს გავიხსენებთ, აღარ გაგვიკვირდება, ჯონა მეტოქეებს აქეთ-იქით როგორ მოისვრის ხოლმე. მასავით მაღალი უკანახაზელი „ოლ ბლექსს“ აქამდე არასოდეს ჰყოლია, წონით კი აღემატება თვით დონ კლარკს, 1950 და 60-იანი წლების მცველი და შორიდან დამრტყმელი რომ იყო. კლარკი, სხვათა შორის, დღესდღეობით სამხრეთი აფრიკის ბინადარია.

კლარკის შესახებ ამბობდენ, ზანტიაო. ლომუ, პირიქით, ნაკრების უმარდეს ხუთეულში უეჭველად ხვდება. ერთი ეგაა, რომ სპრინტში ვერ გაეჯიბრება ჯეფ ვილსონს და ერიკ რაშს, თორემ სხვა მორბენლებს ტოლს არ დაუდებს. რა თქმა უნდა, ლომუ შიშის ზარსა სცემს მეტოქის მცველებს, რადგანაც დიდი სიჩქარით ქროლვისას რბენის მიმართულების შეცვლა შეუძლია. იგი ლელოს უმწეო დამცველებს გარს კი არ შემოურბენს, ანაც ფეხის აცეკვებით გზას აუბნევს, არამედ პირდაპირ გადათელავს ხოლმე!

ლომუს მშობლები ტონგელები არიან ისევე, როგორც ავსტრალიის მარბიელი მორკინალი ვილი ოფენგაუესი. ჯონა და მისი ოთხი ძმა თავიდან ლიგის რაგბს ეზიარნენ. ჯონამ რაგბის თამაში მას შემდეგ დაიწყო, რაც ვეზლის კოლეჯში მიიღეს. მას გული უკანახაზელობისკენ მიუწევდა, მაგრამ გუნდს დერეფანში ბურთის მომგები არავინა ჰყავდა და ლომუც მორკინალად გამწესეს. ჩემი ტანადობის წყალობით უკანა ხაზში გასიებული ცერა თითივით ვჩანდი, ამიტომ გარდაუვალი იყო, შერკინებაში რომ მიკრავდნენ თავსო, — იხსენებს ლომუ.

ლომუსგან ისეთი 8 ნომერი დადგა, რომ ზელანდიის სასკოლო ნაკრების შემრჩევლებმა მყის შეიყვანეს გუნდში და 1993 წელს სტუმრად ჩასულ ავსტრალიისა და ინგლისის გუნდებს შეახვედრეს. ინგლისელ ბიჭებს ახლაც მაჯლაჯუნასავით ემახსოვრებათ „ქარისბრუქში“ გამართული ის მატჩი. თამაშის ბოლოსთვის ბრიტებს ხუთ ათეულზე მეტი ქულა გაეშვათ, ლომუს კი ლელოთა ჰეთ-თრიქი გაეხერხებინა.

1994 წელი რომ დადგა, ლომუს უკვე ისეთი რეპუტაცია ჰქონდა, სასკოლო რაგბიდან კაცთა საკლუბო რაგბის გაუვლელად პირდაპირ „ოლ ბლექსის“ თხუთმეტეულში გაიწვიეს საფრანგეთთან სათამაშოდ, ოღონდაც 8 ნომრად კი არა, არამედ გარემარბად.

ფრანგებს ლომუს შეტევები არც უწვნევიათ, ისე უმოწყალოდ გამოიყენეს მისი სისუსტე — დაცვითი თამაშის უმეცრება. ფრანგები ერთთავად მისკენ უტევდნენ, ახალი პოზიციის უჩვევი ბეჩავი ლომუ კი ბრინჯივით დაბნეულიყო.

დიდად რეკლამირებული ტესტ-დებიუტიდან სამი კვირის თავზე ლომუ აღარ შეიყვანეს გუნდში, ზელანდიაში ტურნეზე ჩასულ სამხრეთ აფრიკას რომ უნდა შეხვედროდა. არადა, ლომუ ყველა დროის უმრწემესი „ოლბლექსელია“ — დებიუტის დღეს ოლენ 19 წლისა და 45 დღისა იყო. მერე, როგორც ვთქვით, თითქმის ათი თვე გამოხდა და „ოლ ბლექსს“ ნელ-ნელა შემოაკლდა მსოფლიო დონის გარემარბები: ჯონ თიმუ და ჯონ ქერვინი ლიგის რაგბმა გადაიბირა.

წლების მანძილზე „ოლ ბლექსი სასწაულებრივ პოულობდა გამორჩენილ გარემარბებს. ამის დასადასტურებლად ბრაიან ვილიამსის, სთუ ვილსონისა და ჯონ ქერვინის გახსენებაც იკმარებს. და მაინც, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ლომუ ყველა ამათ ბევრად აჯობებს. რაც უნდა იყოს, რაგბში ძნელად თუ გადაეყრები სხვა 118-კილოიან ათლეტს, ლომუსავით მარდი და მოქნილი რომ იყოს.

მსოფლიო თასის შემდეგ ახალზელანდიური რაგბის უმთავრესი საზრუნავი, რალა თქმა უნდა, ლომუს შენარჩუნებაა, რაკილა ლიგის რაგბის საცდურები თან გახშირდა და თან უფრო მიმზიდველიც გახდა. თუმც ლომუს აქამდეც უთქვამს, რაგბის სილაღე მირჩევნია ლიგის რაგბის მარტოკაცთა ომსო, მაინც ვეცადოთ შევახსენოთ ეს მოსაზრება მაშინ, ლიგის სვავები ხშირ-ხშირად რომ მიაკითხავენ.

სამხრეთაფრიკული ჟურნალიდან გადმოაქართულა
არკადი ბაინდურაშვილმა



## აგასიმ ჩანგს ტრიპლი არ დაანება



მეისონში, ცინცინატში, ოჰაიოს შტატში, პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (ატპ) ტურნირის ფინალში კვირას ანდრე აგასიმ დაამარცხა მაიკ ჩანგი 7:5, 6:2. არადა, ჩანგს რომ გაემარჯვა, ტურის ზედიზედ მესამე შეჯიბრს მოიგებდა.

შეჯიბრი ხისტსაფარიან კორტებზე გაიმართა. სიცხე მზეში 49 გრადუსს აღწევდა. ნახევარფინალში მომავალმა ჩემპიონმა 69 წუთში 6:4, 6:2 აჯობა შვედ ენკვისტს, ვისთანაც წელს ფილადელფიაში დამარცხდა. ჩანგმა 4:6, 6:2, 7:6 (7-5) მოუგო გერმანელ შტიხს.

ტურნირში მონაწილეობდა პიტ სამპრასიც. წელს აგასი და სამპრასი ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, ანგარიშიც აგასის სასარგებლოდაა 3-1, მაგრამ ამჯერად პიტმა ფინალამდე ვერ მიაღწია: მეოთხედფინალში შტიხს ორი საათი ეომა, მხოლოდ 4 ეისი ჩაუგდო, თავად 26 მიიღო, ერთი თაი-ბრეიქი მოუგო, ერთიც — წააგო, მესამე ხელში კი 1:6 დანებდა. ამავე ეტაპზე აგასი კურიესთან ორ მატჩ-პოინტს გადაურჩა — 3:6, 7:6, 7:5 მოუგო, ენკვისტმა კი ივანიშევიჩი 4:6, 6:0, 6:3 დაამარცხა.

პარალელურად სან-მარინოს პირველობაც გაიმართა. ფინალში თომას მუსტერმა (ავსტრია) 6:2, 6:0 აჯობა ანდრეა გაუდენცის (იტალია).

ირაკლი ნინუა

## აქეთური, იქითური

საგაისო ოლიმპიადის ბილიკზე, ატლანტაში გაჩაღდა წყნარი ოკეანის აუზის მოცურავეთა ჩემპიონატი, რომელშიც დოპინგ-კონტროლის ლიანგური ჩაფლავების გამო არაა დაშვებული ჩინეთი. შეჯიბრებაზე შეკრებილი მწვრთნელები ერთხმად მოითხოვენ ჩინელთა რამდენიმე წლით მოკვეთას წყალქომარდობის სამყაროდან.

*

ბრიტანელებს დიდად აფორიაქებთ თავიანთი პრინცესას სასიყვარულო თავგადასავლები, როგორც ჩვენმა ლონდონელმა კორესპონდენტმა ზურაბ მეძველიამ გვაცნობა, ყვითელ პრესას გამოუძიებია ეს საკითხი და დაუდგენია, რომ პრინცესას იდუმალი კურო ინგლისის რაგბის ნაკრების კაპიტანი ვილ ქარლინგი ყოფილა — სწორედ ის ვილი, ვინაც თავისივე რაგბის კავშირის მამები საჯაროდ მოიხსენია „ბებერ მუცლის ქარებად“.

*

**63** წლისა გარდაიცვალა კეტბურთის ლეგენდა ნიკი მენთლი. ჯერ კიდევ ჭაბუკი **1951** წელს ოკლაჰომიდან ჩავიდა ნიუიორკს და იქაურ „იანკიზში“ დიდი დიმაჯოს ნაცვლად აუთფილდერად დაიწყო თამაში. კარიერის მანძილზე მენთლმა **536** ჰოუმ-რანი დაჰკრა, „იანკიზს“ კი **12**-ჯერ მოაგებინა ამერიკის ლიგის ჩემპიონატი, **7**-ჯერ კი — მსოფლიო სერია. მაშინაცა და კეტბურთისთვის თავის მინებების შემდეგ ნიკი უზომოდ სვამდა. ამდენმა ლოთობამ ღვიძლი ისე დაუავადა, რომ ივნისში სხვისი გადაუნერგეს, მაგრამ მალევე ფილტვის კიბო აღმოაჩნდა და დალასის ჰოსპიტალში განუტევა სული.

*

წინა კვირაში წლის ბოლო, მეოთხე უმთავრესი საგოლფო შეჯიბრება — აშშ-ის პროფესიონალთა ასოციაციის ჩემპიონატი მოიგო **32** წლის ავსტრალიელმა სთივ ელკინგტონმა, ვინაც შოტლანდიელი კოლინ მონთგომერის მხარდამხარ ნორმაზე **17**-ით უკეთესი **267**-ით დარტყმით დაასრულა შეჯიბრი, მერე კი მეტოქეს პირველსავე დამატებით ორმოზე აჯობა. ელკინგტონმა პირველად მოიგო ამ რანგის შეჯიბრი, მონთგომერი კი კარიერაში მეხუთედ დამარცხდა პლეი-ოფში. მესამე ადგილი **269**-ით გაიყვეს სამხრეთაფრიკელმა ერნი ელსმა და ამერიკელმა ჯეფ მაგოთმა. ელსს ბოლო დღის წინ ნორმაზე **16**-ით უკეთესი შედეგი ჰქონდა და სამი დარტყმითაც უსწრებდა უახლოეს მდევრებს, მაგრამ ბოლო წრეში ნორმაზე ერთით უარესი შედეგი (**72**) აღმოაჩნდა.

*

ავსტრალიურ ბურთაობაში შაბათს, მელბურნის კრიკეტის სტადიონზე **77** ათასი კაცი დაესწრო ესენდონის „ბომბდამშენებისა“ და კოლინგვუდის „კაჭკაჭების“ თამაშს და მრავლადაც იხილა მუშტიკრივი. ესენდონმა **110:102** მოიგო და ისევ მეორე ადგილს იყოფს ჯილონგის „კატებთან“.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441



მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე



დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29